ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 18 – 19 აგვისტო, 2018 | №195 (7740) | ფასი: 60 თეთრი

ფქვილისა და ბუნებრივი აირის გაძვირების ფონზე მეწარმეები პურის ფასს გადახედავენ

გვ.6

რევაზ არველაძე: „ოცნებამ“ არც ერთ კანდიდატს არ უნდა დაუჭიროს მხარი“

„სალომე ზურაბიშვილის ადგილზე მე სხვანაირად მოვიქცეოდი“

გვ.3

თრუსოს ხეობაში სასაფლაოზე ხელყუმბარა აღმოაჩინეს

პროვოკაცია თუ ბოროტი ხუმრობა

გვ.2

ემზარ ჯგერენაია: „ლარის რყევა არაფერს აბალანსებს“

გვ.4

რატომ ჩაასვეს ქართველ მოჭიდაველებს რუსეთისდროშიანი მაისურები

გვ.2

გია გვაზავა: „მოსკოვთან შეთანხმების გარეშე შამბა ამ განცხადებას არ გააკეთებდა“

გვ.5

სამართალი

გვ.7

დედამ და ბებიამ ახალშობილი 1.000 ლარად გაყიდეს

ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

ურეკში მაშველებმა 27 წლის ქალი გადაარჩინეს

ანსამბლ „ოდოიას“ წევრი ზაალ ზარქუა საკუთარ სახლში ჩამომხრჩვალი იპოვეს

ეკონომიკა

გვ.6

საქსტატი – II კვარტალში ხორცის წარმოება, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 13%-ით შემცირდა

ახმეტის მერიამ თუშეთში ერთ ფრენაში 21 ათას 300 ლარი გადაიხადა

„ბიუ-ბიუს“ ჯიხურები ქალაქის იერსახეს არ შეესაბამება“

ISSN 1987-9385

4 „შენ ინტრიგანი ხარ? ახლა დაგაკავებ“

7 რეგულირების სააგენტო აფთიაქებს კიბოს რისკის გამომწვევი წამლის ამოღებისკენ მოუწოდებს

5 ანზორ აბრალავა: „ხელისუფლება ტკბება ძალაუფლებით და არ უკვირდება, რას ამბობს“

4 ვახტანგ მაისაია: „საქართველომ, შესაძლოა, ხელსაყრელი გეოეკონომიკური მდებარეობის სტატუსი დაკარგოს“

თრუსოს ხეობაში სასაფლაოზე ხელყუმბარა აღმოაჩინეს

პროვოკაცია თუ ბოროტი ხუმრობა

შორენა მარსაგიშვილი

თრუსოს ხეობა ჯერ კვლავ ყუჩადღების ცენტრშია. ჩამდენიმე თვის წინ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ აქაურობა აღმოსავლეთ ოსეთად გამოაცხადა და მისი „ისტორიულ სამშობლოში" დაბრუნება მოითხოვა. მომავალ ჯვრის, 24 აგვისტოს, ოსთა დიდ ყრილობაზე ოფიციალურად მოითხოვენ „ქუმარიტად ოსური მიწის", ყაზბეგის, დაბრუნებას.

ამ ყრილობამდე ერთი კვირით ადრე, თრუსოს ხეობის სიახლოვეს, სოფელ კობთან ძველ სასაფლაოზე ხელყუმბარა აღმოაჩინეს.

ძველ სასაფლაოზე ასევე აღმოჩენილია პოლიეთილენის მილი. გავრცელებული ინფორმაციით, ამ მილზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროშა იყო მიმაგრებული.

ინფორმაცია სასაფლაოს დანაღმვის შესახებ მოძრაობის „ძალა ერთობაშია" წევრებმა დავით ქაცარავამ და ლაშა ბერულავამ გაავრცელეს.

დავით ქაცარავას მტკიცებით, თრუსოს ხეობაში ყოფნისას მათ ერთერთმა ტურისტმა ამცნო, რომ სოფელ კობის სასაფლაოზე უცნობმა პირებმა

ოსური დროშა ააფრიალეს და ტერიტორიაც დანაღმეს.

– თრუსოს ხეობაში დაგეგმილი ასვლის მერე, სოფელ აბანოდან უკანა გზაზე, მანქანები გავაჩერეთ და ჩვენი ორგანიზაციის წევრი, ჟურნალისტი ლაშა ბერულავა ტურისტებს დაელაპარაკა. ერთმა ტურისტმა კონფიდენციალობის დაცვის გარანტია სთხოვა და უთხრა, რომ სოფელ კობში, ძველ სასაფლაოზე, უცნობმა პირებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროშა ააფრიალეს და, სავარაუდოდ, ადგილი დანაღმეს, რადგან ტერიტორია პოლიციის მიერ იყო შემოსაზღვრული. მათი თქმით, ადგილი გუდაურისტეფანწმინდის ტრასიდან ახლოს იყო. ამის შემდეგ სასწრაფოდ ამ ადგილის მოსაძებნად გავემართეთ და ვიპოვეთ კიდეც. ადგილი ლენტით იყო შემოსაზღვრული, დროშა – ჩამოხსნილი, თუმცა, ტარი ადგილზე იყო დატოვებული.

ჩვენი გამოჩენისთანავე ადგილზე გაჩნდნენ პოლიციის მაღალჩინოსნები, პლუს, ექსპერტ-კრიმინალისტები. მათ არ დაადასტურეს დანაღმული დროშის არსებობის ფაქტი, თუმცა, გვთხოვეს, ჩვენივე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ტერიტორია დაგვეტოვებინა, რაც აჩენს ეჭვს, რომ შესაძლოა, ნაღმი სხვაგანაც იყოს ჩადებული. ლაშა ბერულავამ ჟურნალისტის უფლება გამოიყენა და უსაფრთხოების ზომების დაცვით, ლენტის გადაკვეთის გარეშე, ფოტოები და ვიდეო გადაიღო, იმის მიუხედავად, რომ თავდაპირველად ადგილზე დახვედრილი პოლიციელები მის შეზღუდვას ცდილობდნენ. ამ ფაქტმა და იმან, რომ ჩვენ რომ არა, ამ ფაქტს ფართო საზოგადოება ვერ გაიგებდა, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თრუსოსა და დარიალის ხეობის მიმართულებით რუსული საფრთხეები რეალურია, – აცხადებს დავით ქაცარავა.

კობის სასაფლაოზე ხელყუმბარის აღმოჩენის ფაქტს ადასტურებენ შსს და ყაზბეგის მერია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ხელყუმბარა საბრძოლო მდგომარეობაში არ იყო მოყვანილი. სამართალდამცავების განმარტებით, აღმოჩენილი საბრძოლო მასალა დაილუქა და ექსპერტიზაზე გადაიგზავნა.

ამ საქმეზე დაწყებულია გამოძიებაც. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 18-108-ე (მკვლელობის მომზადება) და 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა) მუხლებით მიმდინარეობს.

კობის სასაფლაოზე ოსური დროშის აღმართვის ფაქტს უარყოფს ყაზბეგის მერი ალექსანდრე ზაგაშვილი. „ახალ თაობასთან" საუბარში ის ამბობს, რომ ადგილზე ხელყუმბარასთან ერთად აღმოჩენილი იყო მილი და ვიღაცებმა ჩათვალეს, რომ ამ მილზე დროშა იყო დამაგრებული.

ალექსანდრე ზაგაშვილი:

– ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, შესაბამისმა სამსახურებმა დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი. დათვალიერებისას აღმოჩენილი იქნა საეჭვო ნივთი – ხელყუმბარა. როგორც მერე სპეციალისტებმა განმარტეს, ეს ხელყუმბარა საბრძოლო მდგომარეობაში არ ყოფილა მოყვანილი.

ალექსანდრე ზაგაშვილი: „ყაზბეგში ოსური დროშა არავის აღუმართავს"

16 აგვისტოს სოციალური ქსელით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კობის სასაფლაოზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროშა ფრიალებდაო. ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება.

– ეს სასაფლაო საავტომობილო გზასთან ახლოს არის და დროშას ალბათ ყველა შენიშნავდა.

– რა თქმა უნდა, შენიშნავდნენ. ამ დროშის თვითმხილველი არავინ არ არის. დროშა არც იმ ადამიანს უნახავს, ვინც საეჭვო ნივთი აღმოაჩინა. ადგილზე მეც ვიყავი და იქ არანაირი დროშა არ ყოფილა.

დანარჩენს გამოძიება დაადგენს. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა კითხვას გაეცემა პასუხი.

– საიდან გაჩნდა ვერსია, რომ სასაფლაოზე დროშა იყო აღმართული?

– ალბათ იმ ფაქტმა დააეჭვათ, რომ სასაფლაოზე პოლიეთილენის მსგავსი რაღაც იყო. იფიქრეს, დროშა იყო აღმართული.

– სასაფლაო, სადაც ხელყუმბარა იპოვეს, მოქმედია?

– ძველი სასაფლაოა, ორი ძველი საფლავია.

– ხელყუმბარა ვინ აღმოაჩინა?

– სასაფლაოზე საეჭვო ნივთის არსებობა საკრებულოს დეპუტატმა შენიშნა და პოლიციას შეატყობინა. სამართალდამცავებმა იქაურობა დეტალურად დაათვალიერეს და შემიძლია გითხრათ, რომ იქ არანაირი საფრთხე არ არსებობს.

გამოძიების დასრულებამდე რაიმე დასკვნების გაკეთება ნაადრევად მიმაჩნია. ცუდი ფაქტი მოხდა, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა. გამოძიება ყველაფერს გაარკვევს.

– ტერიტორიის დანაღმვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას პანიკა ხომ არ მოჰყოლია?

– არა, ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდება. ტერიტორია დანაღმული არ ყოფილა. ვიმეორებ, იქ აღმოაჩინეს ხელყუმბარა, რომელიც საბრძოლო მდგომარეობაში არ იყო მოყვანილი.

რატომ ჩაასვეს ქართველ მოჭიდავეებს რუსეთისდროშიანი მაისურები

შორენა მარსაგიშვილი

ქართველი მოჭიდავეები ისევ შარში არიან. 16 აგვისტოს სოციალური ქსელით გავრცელდა სკანდალური ფოტო. ამ ფოტოზე აღბეჭდილნი არიან საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი იანტბელიძე და მოჭიდავეები – გენო პეტრიაშვილი, ზურაბ იაკობაშვილი და მამუკა ერაძე. ჩვენებურებს რუსეთის დროშისფერიანი მაისურები აცვიათ, რომელზეც ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა – ალანიას პარლამენტის დეპუტატისა და იმავე დროს რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ძამბოლატ თედეევის შთამბეჭდავი სახეა გამოსახული.

ამ ფოტოს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა ქართველი მოჭიდავეები შეაჩვენა. აღშფოთება რუსეთისდროშისფერიანმა მაისურებმა გამოიწვია.

საზოგადოების აღშფოთებამ აღაშფოთა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გეგა გეგეშიძე. მისი ლოგიკით, არავისი საქმე არ არის, როგორ მაისურებს ჩაიცვამენ მოჭიდავეები.

– მთელ მსოფლიოს აცვია გენო პეტრიაშვილის, იაკობაშვილის, ვლადიმერ ხინჩიგაშვილის გამოსახულებიანი მაისური, მთელ მსოფლიოს. რატომ არ

იძახით, რატომ გაცვიათ, ბიჭებოო? მთელი მსოფლიო რომ ჩვენს დროშას აქვეყნებს და მთელი ევროპის კონტინენტი რომ ჩვენს ჰიმნს იზეპირებს, ფედერაცია რომ ასეთი წარმატებულია, ვინმეს უკითხავს? მოვიდნენ და ნახონ, რა პირობებში ვვარჯიშობთ და რა შედგები გვაქვს. და ჩვენი ბიჭები მაიკებს ჩაიცვამენ თუ არ ჩაიცვამენ, ეს არავის საქმე არ არის, უკაცრავად, – აღნიშნა გეგეშიძემ რუსთავი 2-თან საუბარში.

მისივე თქმით, ძამბოლატ თედეევი მეგობარია და არჩილ ტატუნაშვილის გადმოსვენებაში სწორედ მას მიუძღვის დიდი როლი.

– მოდი, მაშინ ერთ რამეს გეტყვით, ტატუნაშვილი რომ გადმოასვენეს, ზუსტად ეგ კაცი ჩაერია. მოსკოვიდან ჩამოვიდა და მაგან გადაწყვიტა ზუსტად, ეს კაცი დასაფლავებული რომ არის სამშობლოში. ვინმემ იცით? მტერი რომ გახდა, თურმე ჩვენი მეგობარი რომ დაგვეხმარა, გაიგეთ რომელიმემ? თუ უნდა ვიყვიროთ, რომ მოჭიდავეებმა გააკეთეს? ზუსტად მოჭიდავეებმა და თედეევმა. არავინ იძახის მაგას, მარტო მაიკაზე არის რუსეთის დროშა, – ამბობს გეგა გეგეშიძე.

თედეევი რომ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემაში დაგვეხმარა, ეს ამბავი ჯერ არსად თქმულა. ეტყობა გეგეშიძემ არ იცის, რომ ტატუნაშვილი ცხინვალში წამებით მოკლეს. მოკლეს იმ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებსაც თედეევი სცნობს და აღიარებს.

გეგეშიძეს ალბათ იმასაც უმალავენ, რომ ქართველების მეგობარი თედეევი 2011 წელს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის პოსტზე აპირებდა კენჭისყრას. იმედია ჭიდაობის ფედერაციაში იციან, რომ ცხინვალის რეგიონი საქართველოს ნაწილია.

სკანდალურ ფოტოს გიორგი იანტბელიძე გამოეხმაურა, რომელმაც განმარტა, რომ მოჭიდავეებს მაისურზე გამოსახული რუსული დროშისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

– ჩვენ არ მიგვიქცევია იქ ყურადღება. დამიჯერეთ, რომ მოგცეთ მაიკა, პირველი, რასაც ვხედავთ, ეს არის სურათი. დავინახეთ სურათი და ის ჩავიცვით, თორემ ის, რომ დროშა და რუსეთი არავითარ კავშირში არაა მაგასთან. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვტკივა ის ყველაფერი, რაც დაკარგული გვაქვს, მე და გენო განსაკუთრებით განვიცდით ამას იმიტომ, რომ ჩვენ დაკარგული გვაქვს სახლკარი. ამას ვერასდროს შევეგუებით, ჩვენ ვართ ერთნი, – განმარტავს გიორგი იანტბელიძე.

განმარტებები სხვა მოჭიდავეებმაც გააკეთეს და მათ ამ გაუგებრობისთვის საქართველოს ბოდიშიც მოუხადეს.

ამ ბოდიშმა საზოგადოება ვერ დააწყნარა. მოძრაობამ „ჩვენი ქვეყანა ოკუპირებულია" ჭიდაობის ფედერაციასთან აქცია გამართა.

მოძრაობის წევრებმა ფედერაციის შენობასთან ტრანსპარანტები მიიტანეს წარწერით – „რუსეთი ოკუპანტია" მათ თან ჰქონდათ იმ გმირების ფოტოები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომს შეეწირნენ.

ფედერაციის შესასვლელსა და კიბეებზე ანტიოკუპაციური სტიკერები გააკრეს, სადაც წერია – „რუსეთი ოკუპანტია".

ძამბოლატ თედეევს შესაძლოა ეს ამბავი ეწყინოს და მის მეგობრებს შეუძლიათ, საქართველოდან ცივი წყალი მიაწოდონ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ანზორ აბრალავა: „ხელისუფლება ტკბება ძალაუფლებით და არ უკვირდება, რას ამბობს“

მარიამ მჭედლიშვილი

„ქართველი პოლიტიკოსების ნაწილისთვის საქართველო რუსთაველის კი არა, ნარკომანიის თავისუფლების ქვეყანაა“

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.

– სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც პრეზიდენტად კენჭისყრას აპირებს, განაცხადა, რომ პრეზიდენტი უნდა იყოს შუამავალი ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ეტყობა, ის საზოგადოებაში არ მოიაზრებს ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებს. მათთან ურთიერთობა ზურაბიშვილს არასდროს გამოსდიოდა.

– არ მესმის, რას ნიშნავს პრეზიდენტის შუამავლობა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. პრეზიდენტი თვითონაც ხელისუფლების ნაწილია. პრეზიდენტი ისედაც ხალხის წარმომადგენელია და მის საზოგადოებასთან შუამავლობაზე ლაპარაკი ზედმეტია. პრეზიდენტი ვალდებულია, იყოს კონსტიტუციის გარანტი და შეასრულოს ის ვალდებულებები, რომლებიც მას კანონმდებლობით აკისრია.

ხალხის მიერ არჩეულია პარლამენტიც. ამიტომ ამ ორგანოს მიერ შერჩეული და დამტკიცებული თანამდებობის პირებიც საზოგადოებას გამოხატავენ. ხელისუფლება ხალხს წარმოადგენს, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, ვერ იღებს ხალხისათვის სასიკეთო გადაწყვეტილებებს. სალომე ზურაბიშვილის ეს ფრაზა არ არის კონკრეტული, გულწრფელი და ის დემოკრატისადმი რევერანსული დამოკიდებულების გამომხატველია.

– რისი გამომხატველია პარლამენტის უმრავლესობის, კერძოდ, სპიკერატის განცხადებები იმაზე, რომ საზოგადოებამ ვერ შეიგნო პრეზიდენტის მომავალი შეკვეცილი უფლებამოსილებები? საზოგადოებაში ნიჰილიზმია. ხალხის დიდი ნაწილი ისედაც პასიურია, ასეთი განცხადებები აკნინებს პრეზიდენტის ინსტიტუტს და ადამიანს უკარგავს არჩევნებზე მისვლის მოტივაციას.

– საზოგადოებაში ნიჰილიზმი მართლაც არსებობს და ეს ძალიან ცუდია. მოგვწონს თუ არა საპრეზიდენტო კანდიდატები, არჩევნებში მონაწილეობა ჩვენი მორალური ვალდებულებაა. ისინი, ვისაც ხელთ უპყრია პოლიტიკური სადავეები, ტკბებიან ძალაუფლებით და არ უკვირდებიან, რას ამბობენ. რომელიმე ინსტიტუტი, მათ შორის პრეზიდენტისა, შეიძლება დაკნინდეს კანონით ან ამ თანამდებობაზე მყოფი პიროვნების მიზეზით. თუ არ მოგვწონს პიროვნება, ის უნდა გადავირჩიოთ. არჩევნები სწორედ ამისთვის არსებობს.

– ხალხს არ მოსწონს ის პოლიტიკური ელიტა, რომელიც ასეთ განცხადებებს აკეთებს და საზოგადოებას შეუგნებელს ეძახის.

– ესეც არჩევნების გადასაწყვეტი საკითხია. სამწუხაროა, რომ მათთვის, ვისაც პოლიტიკურ ელიტას ვუწოდებთ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაც კი არ არის. გვარწმუნებენ, რომ, გამოკითხვების თანახმად, არც საზოგადოებისთვის არის ეს უმთავრესი საზრუნავი. ამისი არ მჯერა. უამრავ ადამიანს ვხვდები. სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და აზროვნების ადამიანისთვის ტერიტორიული მთლიანობაა უპირველესი პრობლემა. ჩვენთან არც ეს თემა განიხილება და არც სხვა მოვლენების ანალიზი ხდება.

ამ სიცარიელის ამოვსებას საზოგადოება შეძლებისდაგვარად ვაპირებთ. ადამიანები, რომლებსაც ქვეყნის პრობლემებზე გვიმუშავია, ვატარებთ სამეცნიერო დისკუსიას თემაზე: „თანამედროვე მსოფლიო და ქართული სახელმწიფოს პერსპექტივები“. ის მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ საკითხებს და მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს. მუდმივად უნდა ვმსჯელობდეთ ამ პრობლემებზე და პოლიტიკური ინტრიგების მორევში არ უნდა ვცურავდეთ. პოლიტიკას გარკვეული ინტრიგა ახლავს, მაგრამ საქართველოში პოლიტიკური ინტრიგანობა ყველანაირ ზღვარს გადავიდა.

კიდევ ერთი საკითხი – პოლიტიკოსმა უნდა აიტანოს ჟურნალისტების მწვავე შეკითხვები, მაგრამ მედიასაც უნდა შეეძლოს მათი პასუხების ატანა.

– პრეზიდენტობის კანდიდატები, რომლებიც ჩაებნენ კამპანიაში, მოსახლეობას ინტერესს ვერ უჩენენ.

– ამ პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო იდეები, არამედ ის, თუ ვინ აყენებს ამ იდეებს. ქართულ პოლიტიკაში პრიმიტივიზმია გამეფებული. ერთმნიშვნელოვნად დაგვიდგინეს, ვისთან შეიძლება დალაპარაკება და ვისთან – არა. რუსეთთან ჩვენს პრობლემატიკაზე დიალოგი ითვლება ღალატად. იმავდროულად, წლებია, რუსეთს აგინებენ ისინი, ვინც რუსეთის საქმეს აკეთებს. ომების დროსაც ელაპარაკებიან ერთმანეთს დაპირისპირებული მხარეები. ამ მხრივ ფინეთის გამოცდილება მაინც გამოვიყენოთ! ფინეთმა მოახერხა რუსეთის კლანჭებიდან თავის დაღწევა, მაგრამ მანამდე ათასი ქარტეხილი გამოიარა. ფინეთის ლიდერებს არასდროს უყვირიათ, მტერს არ დაველაპარაკებიო.

პრიმიტივიზმი და ანომალიაა, როცა დედაქალაქის მერი ოკუპანტთან ომში სამხედროს ფუნქციებს ითავსებს, პარლამენტის თავმჯდომარე კი მოსახლეობას მოუწოდებს, დანა-ჩანგლით ებრძოლოს მტერს! დღეს ეს კაცი პრეზიდენტობისთვის იბრძვის. მძიმედაა საქმე, როცა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიასა და მიხეილ ჯავახიშვილის სამშობლოში პოლიტიკოსების მთავარი განსახილველი და საბრძოლველი თემა ერთნაირსქესიანთა ქორწინებისა და ნარკოტიკების ლეგალიზაციის მხარდაჭერაა. ქართველი პოლიტიკოსების ნაწილისთვის საქართველო რუსთაველის კი არა, ნარკომანიისა და პროსტიტუციის თავისუფლების ქვეყანაა.

– ნარკოტიკების თემა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ გააქტიურა.

– ამბობენ, ეს ლეგალიზაცია არ არისო. რა მნიშვნელობა აქვს, რას დაარქმევ! ნარკომანიის რეკლამირება და აფიშირება გრძელდება. თუ დაუშვებენ მოხმარებას, მაშინ გადასაწყვეტია შეძენის საკითხი. ამას ბაზარი სჭირდება. ამ ყველაფრის უკან ნარკომაფია დგას. მას ჰყავს ლობისტები ტელევიზიებში, პოლიტიკოსებში და ა.შ. პარადოქსია, რომ იმ ცრუ ლიბერალურ ჯგუფებს, რომლებმაც ნამდვილი ლიბერალიზმის დისკრედიტაცია მოახდინეს, თამბაქოს მოწევა დიდ საშინელებად მიაჩნიათ, ერთნაირსქესიანთა ოჯახები კი – დადებით მოვლენად.

რევაზ არველაძე: „ოცნებამ“ არც ერთ კანდიდატს არ უნდა დაუჭიროს მხარი“

„სალომე ზურაბიშვილის ადგილზე მე სხვანაირად მოვიქცეოდი“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი რევაზ არველაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებსა და კანდიდატებზე საუბრობს.

– ბატონო რევაზ, პრემიერმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა, სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერის საკითხთან დაკავშირებით რამდენიმეკვირიანი ტაიმაუტი ავიღეთო. თქვენ რას იტყვით, როგორი განწყობაა გუნდში კონკრეტულად სალომე ზურაბიშვილის მიმართ?

– მე ვფიქრობ, რომ განწყობა დადებითია. თუმცა, ჩემი პოზიცია ყოველთვის იყო და ახლაც ამას ვაფიქსირებ, რომ მმართველ პარტიას აუცილებლად უნდა ჰყავდეს თავისი კანდიდატი, მაგრამ რადგან გადაწყვეტილება მიღებულია, რომ არ უნდა დავაყენოთ ჩვენი პარტიის კანდიდატი და დამოუკიდებელ კანდიდატს უნდა დავუჭიროთ მხარი, საბოლოოდ ეს გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული. ვის, რომელ დამოუკიდებელ კანდიდატს დავუჭერთ მხარს, ეს გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული.

– ტაიმაუტზე რას იტყვით?

– ტაიმაუტი სწორი გადაწყვეტილებაა. არ არის გამორიცხული, რომ 8 სექტემბრამდე კიდევ გააკეთოს ვინმემ განაცხადი. იქნებ ვინმე ისეთი გამოჩნდეს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ჩათვალოს, უკეთესია, მას დაუჭიროს მხარი. ჯერ წარდგენილ კანდიდატებს შორის სალომე ზურაბიშვილი მაინც ყველას სჯობია.

– გია ხუხაშვილი ამბობს, რომ სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო კამპანია შეიძლება მის ანტიკამპანიად იქცეს. თქვენ ასეთ ელემენტებს ხედავთ?

– მე რომ კენჭს ვიყრიდე, არავის დავუწყებდი ჭკუის სწავლებას. რა თქმა უნდა, ზოგი ჟურნალისტი თავის ფუნქციას კარგად ასრულებს და ზოგი – ვერა. ეს სრულიად ბუნებრივია, მაგრამ მან როგორც გამოხატა თავისი პოზიცია კონკრეტულად ჟურნალისტებთან მიმართებით, მე ასე არ გამოვხატავდი ჩემს პოზიციას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წინასაარჩევნო კამპანია იწყება. პირიქით, ამ კამპანიის დროს უნდა ეცადო, რომ ყველაზე დადებითი გავლენა მოახდინო, განსაკუთრებით ჟურნალისტებზე, რომლებზეც საკმაოდ სერიოზულად არის დამოკიდებული, თუ როგორ პიარს გაგიკეთებენ.

გნებავთ სამაჩაბლოს ომთან დაკავშირებით მე სხვანაირად წარმომიდგენია, სხვანაირად შეიძლებოდა. მე ასე არ წავიყვანდი ჩემს წინასაარჩევნო კამპანიას. რაც შეეხება ქალბატონ სალომეს, მან ალბათ მშვენივრად იცის, როგორ წაიყვანოს ეს კამპანია.

– თუ ალეკო ელისაშვილმა წამოაყენა კანდიდატურა, რასაც ის არ გამორიცხავს, მაშინ შეიძლება გუნდში პოზიციები შეიცვალოს თუ ელისაშვილის მიმართ ნულოვანი განწყობაა?

– ელისაშვილთან დაკავშირებით გუნდში საკითხი არ დამდგარა არავის მხრიდან. ნამდვილად არ ვიცი, დადგება თუ არა ეს საკითხი. თუ „ქართული ოცნების“ გუნდის შიგნით ვინმემ დააყენა საკითხი, რომ ელისაშვილს დავუჭიროთ მხარი, მაშინ განიხილება და უმრავლესობაც მიიღებს გადაწყვეტილებას. რა ჯობია, ვის დავუჭიროთ მხარი, ელისაშვილს, ზურაბიშვილს თუ კიდევ ვინმე სხვას.

– „ქართულმა ოცნებამ“ საერთოდ არავის მხარი რომ არ დაუჭიროს, ასეთი პოზიციაც არის გუნდში?

– კი, მე პირადად მქონდა ეს პოზიცია და ამის შესახებ ვთქვი იქ, სადაც საჭირო იყო ამის თქმა. მე მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა გვყავდეს ჩვენი კანდიდატი. მე ვთქვი, რომ „ქართულ ოცნებაში“ არიან ღირსეული კანდიდატები, რომლებიც ბევრად უკეთესი იქნებიან, ვიდრე გიორგი მარგველაშვილია. არც სალომე ზურაბიშვილისთვის და არც სხვა არც ერთი კანდიდატისთვის არ შემიდარებია, მე მოქმედ პრეზიდენტს შევადარე ჩვენი პოტენციური კანდიდატი.

თუ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რომ არ გვყავდეს ჩვენი კანდიდატი, მაშინ ესეც ვთქვი, რომ უფრო სწორი იქნება, არავის დავუჭიროთ მხარი, არც ერთ კანდიდატს. ეს იყო ჩემი პოზიცია, მაგრამ მე, რასაც უმრავლესობა გადაწყვეტს, იმას დავუჭერ მხარს.

– თქვენ უშვებთ იმ შესაძლებლობას, რომ ოპოზიციამ გაიმარჯვოს, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ?

– პიროვნულად ეს გამორიცხულად მიმაჩნია, მაგრამ შესაძლებლობით, რა თქმა უნდა, ყველაფერი შესაძლებელია.

– თუ ასე მოხდა, ეს რა იქნება „ქართული ოცნებისთვის“?

– „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ არავინ მოვიდეს ისეთი, ვინც ქვეყნის მართვაში შეუშლის ხელს. როდესაც ქვეყნის მმართველი ხარ, მაშინ ამაზე უნდა იზრუნო. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველ ეტაპზე ეს ვერ შეძლო.

– პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია როგორია? ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საკითხებია განსახილველი, ამბობს ეკა ბესელია, მაგრამ პრეზიდენტის სასახლის აშენებაში მილიონებია დახარჯული და ეს ხალხის ფულია.

– დიახ, ხალხის ფულია და ასეული მილიონებია დახარჯული. რაც შეეხება ჩემს პოზიციას კონკრეტულად პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით, მე ვთვლი, რომ ყველა ქვეყანას მთავრობის სახლი, პრეზიდენტის რეზიდენცია მისი შესატყვისი უნდა ჰქონდეს. პრეზიდენტის ეს რეზიდენცია იმდენად პომპეზურია, რომ საქართველოს არ სჭირდება ასეთი რეზიდენცია. ათონელის ქუჩაზე მდებარე სასახლე სავსებით საკმარისი და ლოგიკური მგონია. შესანიშნავი დარბაზებია, სარემონტო სამუშაოების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ბევრად უფრო უკეთესი იქნება.

იგივე შემიძლია ვთქვა ქუთაისში პარლამენტის შენობაზე, რომელიც ასევე პომპეზურია და მის შენახვას უზარმაზარი თანხები სჭირდება. ეს, იცით, რას ჰგავს? თოფის ლულაში ფული რომ ჩატენო და გაისროლო. ასეა გასროლილი 360 მილიონი, რაც დაჯდა ის შენობა, ეს არის უბრალოდ გადაყრილი ფული.

პარლამენტის ქუთაისში ყოფნა ქვეყნის მართვას უშლის ხელს, ძალიან ამუხრუჭებს, ძალიან ბევრ დროს აკარგვინებს მთავრობასაც და პარლამენტსაც.

– პარლამენტი ხომ თბილისში გადმოდის?

– მე ძალიან ვეცადე, ქუთაისი პარლამენტის შეკრების ადგილად რომ იყო მითითებული, ეს ჩანაწერი კონსტიტუციიდან ამოგვეღო, რაშიც საკონსტიტუციო კომისიამ მხარი დამიჭირა. თუმცა, პარლამენტის რეგლამენტის ახალ რედაქციაში ისევ გამოჩნდა ქუთაისი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები და გადმოვა თუ არა პარლამენტი სრულად თბილისში.

„შენ ინტრიგანი ხარ? ახლა დაგაკავებ“

მოქალაქე პოლიციას ძალის გადამეტებაში ადანაშაულებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია უკვე დაინტერესდა ვიდეომასალით, რომელზეც პოლიციელისა და მოქალაქის ურთიერთშელაპარაკებაა ასახული. ამის შესახებ ნეტგაზეთს შსს-ში განუცხადეს. უწყების ცნობით, კონფლიქტის მხარეებს გამოკითხავენ.

ლაივ ვიდეო 16 აგვისტოს, გვიან ღამით, მოქალაქე დავით გუგეშაშვილმა ფეისბუკზე გამოაქვეყნა.

როგორც გუგეშაშვილი ფეისბუკ პოსტში განმარტავს, პოლიციის წარმომადგენელმა ის და მისი მეგობარი თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე გააჩერა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა მოსთხოვა, უარის მიღების შემდეგ კი მოქალაქეებს პოლიციის განყოფილებაში გადაყვანით დაემუქრა.

– 16 აგვისტოს, დაახლოებით ღამის 4 საათზე, ქავთარაძის გუდვილთან მე და ჩემი მეგობარი გაგვაჩერა მოძველებიჭო პოლიციამ, საბუთები წარმოადგინეთ და ფოტო უნდა გადაგიღოთო. პირადობა თან არ მქონდა და ფოტოს გადაღებაზეც, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი, რის შემდეგაც ცდილობდა ჩვენს განყოფილებაში გადაყვანას. სანამ ლაივი არ ჩავრთე, ძალაზე იყო, – წერს დავით გუგეშაშვილი.

მისივე განმარტებით, პოლიციელი აღნიშნულ მოთხოვნას „კანონიერს“ უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ მისი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა „სისხლის სამართლის დანაშაულია.“

დავით გუგეშაშვილი ეჭვს გამოთქვამს, რომ აღნიშნული პოლიციელი არაფხიზელ მდგომარეობაში იყო.

ვიდეოში მართლაც ჩანს, თუ როგორ მოუწოდებს პოლიციელი ვიდეოს ავტორს, თან გაჰყვეს განყოფილებაში, ან პირადობის მოწმობა აჩვენოს.

– უზრდელი ხარ, წინააღმდეგობას მიწევ. რას ჰქვია, რატომ არ დაგაქვს პირადობა, – ამბობს პოლიციელი ვიდეოში, რომლის ვინაობა „ნეტგაზეთისთვის“ უცნობია.

გარდა ამისა, ვიდეოში ისმის, თუ როგორ გამოთქვამს პოლიციელი პრეტენზიას მოქალაქის მიერ „ფეისბუკის ლაივის“ ჩართვის შემდეგ.

– ჩემთვის კი არ უნდა ჩაგერთო, ვიღაც გარეწრებისთვის უნდა ჩაგერთო. შენ ინტრიგანი ხარ? ახლა დაგაკავებ, – ამბობს ის.

ნეტგაზეთი

ვახტანგ მაისაია: „საქართველომ, შესაძლოა, ხელსაყრელი გეოეკონომიკური მდებარეობის სტატუსი დაკარგოს“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს

– ბატონო ვახტანგ, საქართველოში დასრულდა მრავალეროვანი სამხედრო წვრთნები, რომელშიც ამერიკის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების სამხედროები მონაწილეობდნენ, ამის პარალელურად, ასევე დოკუმენტებში ჩაიწერა, რომ საქართველო კავკასიაში ამერიკის მთავარი მოკავშირეა. მოგეხსენებათ, ამერიკამ თავისი სამხედრო ბიუჯეტისთვის 716 მილიარდი დოლარი გამოყო. ამერიკის თავდაცვის სისტემაში, მგონი, ჩვენც მოვიაზრებით. რა მნიშვნელობა აქვს იმის აღიარებას, რომ ჩვენ კავკასიაში ამერიკის მოკავშირე ვართ?

– მთავარი მოკავშირე რომ ვართ, დოკუმენტებში ისედაც ფიქსირდება. მაგალითად, ასეა 2009 წელს ხელმოწერილი საქართველო-ამერიკის სტრატეგიული ქარტიის დოკუმენტის მიხედვით. თუმცა, რამდენად ვართ ამერიკის პრაქტიკული მოკავშირე, ცალკე საუბრის თემაა, რადგან ამ ბიუჯეტით უკრაინას გამოუყვეს 300 მილიონი დოლარი, რომელიც მოხმარდება მათი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასა და იარაღის შეძენას. საქართველოსთვის გამოყოფილ თანხებზე ჩანაწერი დოკუმენტებში მე ვერ ვნახე, არ არის.

დოკუმენტებში არის ზოგადი ფრაზები, რომ თავის სტრატეგიულ მოკავშირეს მისცემს საშუალებას, შეიძინოს საბრძოლო ლეტალური იარაღი, რაც დადებითი მომენტია. ამერიკისაგან ჩვენ შეგვიძლია შევიძინოთ საბრძოლო იარაღის გარკვეული ტიპები, რომელიც საქართველოს თავდაცვისუნარიანობას გააძლიერებს, თუმცა, მიზანმიმართულად ფულადი სახსრები არ გამოყოფილა, როგორც ეს უკრაინის შემთხვევაში (300 მლნ დოლარი) გაკეთდა.

– საქართველოს დასახმარებლად გარკვეული თანხა წინა პერიოდში ხომ იყო გამოყოფილი?

– საქართველოსთვის თანხა ობამას დროს გამოიყო. ობამას დროს გამოყოფილი თანხიდან ამერიკის ცენტრალური სარდლობის წარმომადგენლები დღეს საქართველოს 9 ბატალიონს უმზადებენ. ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში დახმარების სურვილი ნაკლებად ფიქსირდება. თუმცა, ტრამპი აფიქსირებს, რომ საქართველო არის სტრატეგიული პარტნიორი, ის შეუწყობს ხელს საქართველოს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და ამერიკელი სამხედროები საქართველოსთვის 9 ბატალიონს ამზადებენ. თუმცა, ისეთი მიზანმიმართული დახმარების ფაქტი, რაც უკრაინის შემთხვევაშია, საქართველოს მიმართ არ დაფიქსირებულა.

– მახსოვს, იყო გეგმები, ამერიკა საქართველოზე გავლით უნდა გაჭრილიყო შუა აზიის მიმართულებით, მაგრამ რეალური სვლა არ განხორციელებულა. ახლა, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით ამერიკის ინტერესიც ჩაცხრა, რუსეთი კი გააქტიურდა.

– აბსოლუტურად გეთანხმებით. რამდენიმე დღის წინ კასპიის ზღვის სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს კონვენციას, რომელიც ამერიკის ამ გეგმას ერთიანად სპობს. კონვენციაში დაფიქსირებულია, რომ კასპიის ზღვის არც ერთი სახელმწიფო არ მისცემს საშუალებას მესამე მხარეს, თავისი სამხედრო კონტინგენტი განათავსოს კასპიის ზღვაში.

– ამერიკა ამით რა შედეგს მიიღებს?

– ამერიკის გავლენა ცენტრალური აზიისა და კასპიის ზღვის მიმართულებით ზემოთ აღნიშნული დოკუმენტით უკვე ძალიან შეიზღუდა. ისევე, როგორც თურქეთსა და ამერიკას შორის დაწყებული ცივი ომი (ორი დღის წინ თურქეთმა ამერიკის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები გამოაცხადა). თურქეთი არჩევს, ახალი სტრატეგიული პარტნიორი იპოვოს ჩინეთისა და რუსეთის სახით. ეს უკვე რეალურად შემდგარი ფაქტია.

ამერიკას ირანმა იმედები გაუცრუა. ამერიკა-ირანისთვის სამხედრო დარტყმის მიყენებაზე ფიქრობს. ამერიკას უნდა, განახორციელოს სამ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ემზარ ჯგერენაია: „ლარის რყევა არაფერს აბალანსებს“

ნონა ცაბაძე

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ განაცხადა, ლარის მერყეობა საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ უსაფრთხოების ბალიში ჩვენი ეკონომიკისთვისო.

ამ განცხადებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია.

ეკონომიკის მინისტრის შეფასებებს არ იზიარებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ემზარ ჯგერენაია.

– ბატონო ემზარ, რამდენად სწორია გიორგი ქობულიას შეფასებები?

– არ ვეთანხმები არანაირად. ლარის რყევა გვიცავს, ეს ძალიან რთული სათქმელია. რისგან გვიცავს? უნდა განმარტოს მინისტრმა, რას გულისხმობდა.

– გაუგებარი იყო მისი განმარტებები?

– ჩემთვის გაუგებარი იყო და ალბათ – ძალიან ბევრისთვისაც. ერთი რამე ცხადია, რომ ასეთი ნახტომისებური ვარდნა ძალიან ძვირი ჯდება ჩვენი ეკონომიკისთვის. ეს ხელს უშლის ბიზნესს და საერთოდ ფსიქოლოგიურად ამძიმებს სიტუაციას. მუდმივად ხდება სპეკულაციის საგანი. ამიტომ მე ვთვლი, რომ ასეთი დაუცველი და ღრმა ვარდნა არ არის მისაღები.

– მცოცავი კურსიაო.

– მცოცავი კურსი არ ნიშნავს ზევით-ქვევით ხტუნვას, მით უმეტეს უნდა შევხედოთ, რა ხდება ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, თურქეთსა და რუსეთში. მთელ მსოფლიოში დოლარი მყარდება. ძალიან ბევრ კითხვაზე არ არის პასუხი და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თუნდაც როგორ შეუშალა რუსული რუბლის ვარდნამ ტრანსფერებს ხელი, ასევე – თურქული ლირის ვარდნამ. ძალიან ბევრი საკითხია განსახილველი და ამას სჭირდება სერიოზული ჩაღრმავება.

– ეს არასერიოზული მიდგომებია?

– ეს ზედაპირული, ბავშვური განმარტებებია. სატელევიზიო განმარტებები არაფერს ნიშნავს. არც ერთი განმარტება არ იყო სწორი და ეს ძალიან გულსატკენია იმიტომ, რომ მთავრობა არ ამბობს, რეალურად რას ელოდება, რა ნაბიჯებს გადადგამს. რა ეშველება ლარს დოლარის გამყარების ეპოქაში, როცა ასე მყარდება დოლარი და ეცემა ევრო. გაუფასურდა ლირა და რუსული რუბლი, აი, ამ ფონზე რას ვშვრებით ჩვენ?!

– თურქული ლირის გაუფასურება რამდენად არის პირდაპირ კავშირში ლარის გაუფასურებასთან?

– რა თქმა უნდა, არის. ლირის გაუფასურებაც არის, რუბლის გაუფასურებაც არის და დოლარის გამყარებაც არის ამ ყველაფერთან კავშირში და ჩვენი ეკონომიკის პრობლემებიც არის კავშირში. ეკონომიკა, რომელიც გუშინ იზრდებოდა 7,5%-ით, დღეს ასეთ შოკში როგორ ჩავარდა?!

– სად არის პრობლემის სათავე?

– პრობლემის სათავე არის ეკონომიკის გაჯანსაღებაში. ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი მიდგომა, უნდა გვქონდეს დამცავი მექანიზმები მეზობელ ქვეყნებში არსებული კრიზისებისგან.

– ლარის რყევა აბალანსებს უარყოფით პროცესებსო, ანუ არასწორი ხედვები აქვს ეკონომიკის მინისტრს?

– ლარის რყევა არაფერს აბალანსებს, პირიქით, აუარესებს სიტუაციას და ასევე აუარესებს ჩვენს საგარეო ვალს.

ნატა ფერაძე: „ცოტაც და ზურაბიშვილი ყველაზე უზრდელი ქალის პირველობას ჩამომართმევს“

– ცოტაც და ზურაბიშვილი ყველაზე უზრდელი ქალის პირველობას ჩამომართმევს, – ამ განცხადებას „პარტიზანელი მებაღეების“ წარმომადგენელი ნატა ფერაძე აკეთებს.

ფერაძე 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მიერ გაკეთებულ იმ განცხადებას აფასებს, სადაც ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს „ტვინის განძრევა“ ურჩია.

– ცოტაც და ზურაბიშვილი ყველაზე უზრდელი ქალის პირველობას ჩამომართმევს, – აცხადებს ფერაძე.

პირველი რადიო

კახა კუკავა: „ლევან ვასაძემ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა“

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ განაცხადა, რომ ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ მის შემოთავაზებაზე, გახდეს საპრეზიდენტო კანდიდატი, უარი თქვა.

– ლევან ვასაძემ უარი თქვა საპრეზიდენტო კანდიდატობაზე. ლევან ვასაძე არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს.

ახლა ჩვენ რამდენიმე პარტიასთან გვაქვს კონსულტაციები. ვინ იქნება კანდიდატი, ამაზე კონსულტაციებს 2 დღეში დავამთავრებთ. ვისთან გვაქვს კონსულტაციები? ამას არაუგვიანეს ორშაბათისა ვიტყვით, – უთხრა კუკავამ „აიპრესს“.

კითხვაზე, ხომ არ გაემიჯნა ის ნინო ბურჯანაძეს, კუკავამ უპასუხა, რომ მასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს.

– როგორ არა, არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ აქ საუბარი არის, პრეზიდენტობის კანდიდატი ვინ იქნება, – თქვა კუკავამ.

არის თუ არა ამ კონსულტაციებში ჩართული ნინო ბურჯანაძე, ეს კითხვა კუკავამ უპასუხოდ დატოვა.

– მოდით, ორშაბათამდე არ ვიტყვი. ალბათ ურჩევნია ყველას, რომ თვითონ თქვას, – თქვა კახა კუკავამ და აღნიშნა, რომ კონსულტაციებში სულ 4 პარტიაა ჩართული.

მედიანიუსი

ვახტანგ მაისაია: „საქართველომ, შესაძლოა, ხელსაყრელი გეოეკონომიკური მდებარეობის სტატუსი დაკარგოს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ხედრო კამპანია ირანის წინააღმდეგ, რაც კიდევ უფრო დაძაბავს სიტუაციას არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, არამედ გლობალურ დონეზე. ამ ვითარების ფონზე ამერიკის გავლენა აშკარად მცირდება კავკასია-კასპიის ზღვის რეგიონის მიმართულებითაც კი.

– ამასთან, თურქეთი აცხადებს, რომ ის რუსეთთან საერთო ენას გამონახავს. ამით ჩვენ ერთგვარ მტრულ რკალში არ ვექცევით?

– დიახ, ჩვენ ვექცევით რკალში რეგიონულ ჰეგემონებს შორის. რომ ვთქვათ, საქართველოსთვის ეს არის მისაღები რკალი, სწორი არ იქნება. ეს მტრული რკალი მიმართული იქნება ამერიკელების წინააღმდეგ. ეს არის ანტიამერიკული სამმხრივი ალიანსი მოსკოვი-ანკარა-თეირანი, რომელიც სწორედ ამერიკის წინააღმდეგ იქმნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკას კავკასიის რეგიონში სერიოზული პრობლემები შეექმნება თავისი ეროვნული ინტერესების რეალიზაციის საქმეში.

ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ამ რეგიონში ჯერ კიდევ არის პროამერიკული საგარეო პოლიტიკის მატარებელი, საქართველოა. სომხეთი და აზერბაიჯანი ამერიკელებისადმი საკმაოდ აგრესიულად არიან განწყობილი. სომხეთის პოზიცია გასაგებია, რადგან ის არის პრორუსული კოლექტიური უსაფრთხოების სტრატეგიულ პარტნიორობაში. აზერბაიჯანი ცდილობს, რუსეთი არ გააღიზიანოს.

– აზერბაიჯანიც ხომ არის კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების ახლადშექმნილ კავშირში?

– ცხადია, ხელი მოაწერა კონვენციას და ყველანაირად შეუწყო ხელი ამ კავშირის შექმნას, ასევე აიღო ვალდებულება, მისი ტერიტორია არ იქნეს გამოყენებული მესამე მხარის მიერ სამხედრო ბაზირებისთვის. კონვენციის ხელმომწერმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, არ გადადგან რუსული ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯი, განსაკუთრებით, სამხედრო მიმართულებით.

– კავკასიის რეგიონში ამერიკის პასიურობით, მგონი, ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდით.

– სამწუხაროდ, ასეა. საქართველოში არსებობს პრორუსული ანკლავები – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რომლებიც ქმნიან ფონს. ბუნებრივია, ამ მიმართულებით გაგრძელდება ზეწოლა.

– ამერიკა სტრატეგიულ მოკავშირედ კი მიგვიჩნევს, მაგრამ ის, რომ, ვთქვათ, უკრაინას 300 მილიონით ეხმარებიან, ჩვენ კი არა, იმაზე ხომ არ მეტყველებს, პუტინი-ტრამპის შეხვედრაზე რაღაც შეთანხმება მოხდა საქართველოსთან დაკავშირებით?

– ასეთი რამ არ მინდა დავიჯერო. ტრამპის ადმინისტრაციას აქვს ასეთი დამოკიდებულება, თორემ ამერიკაში არიან სხვა პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც საქართველოს სრულ მხარდაჭერას აღუთქვამენ. ესენი არიან ნეოკონსერვატორები, ნეოკონები, ნეოლიბერალები, დემოკრატიული პარტიის სახით. ტრამპის ადმინისტრაცია გამოხატავს ნელთბილ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ. ეს ფაქტია. ეს არის მთავარი არსი. ამაში აბსოლუტურად გეთანხმებით.

არ ვიცი, ეს რამდენად იყო პუტინსა და ტრამპს შორის მოლაპარაკების საგანი. ფაქტია, რომ ამ სამიტზე საქართველოს საკითხი არ დამდგარა. უკრაინის საკითხი განიხილებოდა. უკრაინასთან დაკავშირებით მხარეებმა გარკვეულ შეთანხმებასაც მიაღწიეს. ამის შემდეგ გაჩნდა ამერიკის ახალი სამხედრო ბიუჯეტიდან უკრაინისთვის 300 მილიონი დოლარი გამოყოფის ფაქტი.

ამას მხარი დაუჭირა პრეზიდენტმა ტრამპმა. ჩვენ ვართ ასეთ მდგომარეობაში. ტრამპმა განაცხადა, რომ საქართველო მზად არ არის ნატოში გასაწევრიანებლად. ესეც საკმაოდ დამაფიქრებელი გარემოებაა. როგორც ჩანს, ტრამპის ადმინისტრაციასთან არავინ მუშაობს.

– სწორედ ჩვენი დიპლომატიური კორპუსის ნაკლოვანი მუშაობიდან ხომ არ გამომდინარეობს ამერიკის ადმინისტრაციის ნელთბილი დამოკიდებულება საქართველოსადმი?

– დიახ, ჩვენ ვართ ძალიან პასიურები.

– საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთსა და ცხინვალში) რუსეთის ორი ბაზაა განთავსებული, ტრამპი ამიტომ ხომ არ იკავებს თავს აქტიურობისაგან? თუმცა, აცხადებს, სტრატეგიული მოკავშირე ვართო. შეიძლება 9 ბატალიონის მომზადებას მიიჩნევს დახმარებად?

– 9 ბატალიონის მომზადება დაიწყო ობამას ადმინისტრაციის დროს. ეს არ არის ტრამპის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება, ობამას ადმინისტრაციის გადაწყვეტილებაა. ამერიკელები ამ ვალდებულებას ბოლომდე შეასრულებენ. შემდეგ რა იქნება, არავინ იცის, თუმცა ამერიკიდან ჩვენ მოგვყიდეს ჯაველინების გარკვეული პარტია. უკრაინელებმა ჯაველინები მიიღეს უფასოდ.

რა თანხაც იყო გადასახდელი უკრაინისთვის გადაცემულ ჯაველინებში, ამერიკელებმა თვითონ გადაიხადეს, ჩვენ კი მოგვყიდეს. ესეც საკმაოდ საინტერესო ფაქტია. დაპირებული არიან და ჩვენ სტინგერებსაც მივიღებთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის – რუსეთის წინააღმდეგ სტინგერებითა და ჯაველინებით ომს ვერ ვაწარმოებთ.

გაცილებით ძლიერი საჰაერო თავდაცვის სისტემა გვქონდა რუსეთთან აგვისტოს ომის პერიოდშიც. ჩვენებმა ჩამოაგდეს ოთხი თვითმფრინავი და დააზიანეს 15, რაც კარგი შედეგია ამ კუთხით, მაგრამ ამან ვერაფრით უშველა ჩვენს სავალალო მდგომარეობას.

– ანუ სერიოზული საჰაერო თავდაცვის სისტემები გვჭირდება.

– ბუნებრივია, სტინგერები ამ სიცარიელეს ვერ ამოავსებს. ჩვენთან ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის ჯარების სახეობაც არ არსებობს. მიხეილმა გაანადგურა სამხედრო-საჰაერო ძალების სახეობა, სამხედრო საზღვაო ძალების სახეობა და მხოლოდ სახმელეთო ძალების ამარა ვართ, რაც საკმარისი არ არის ჩვენი ტერიტორიის დასაცავად.

– სანამ ჩვენ საქართველოს ტერიტორიაზე აგვისტოში დაწყებულ ომებში დამარცხებას ვგლოვობთ, ამ დროს რუსეთი ახალ-ახალი სტრატეგიების შემუშავების პროცესშია, ახალ კონვენციებს ქმნის, რომელიც საქართველოზე არ მუშაობს.

– ჩვენზე კასპიის ზღვის ქვეყნების მიერ მიღებული კონვენცია საქართველოზე ნაკლებად იმუშავებს. აღნიშნული კონვენციის გამო ხვალ-ზეგ შეიძლება საქართველომ ხელსაყრელი გეოეკონომიკური მდებარეობის მქონე ქვეყნის სტატუსიც კი დაკარგოს.

გია გვაზავა: „მოსკოვთან შეთანხმების გარეშე შამბა ამ განცხადებას არ გააკეთებდა“

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა „ახალ თაობასთან“ აფხაზ სეპარატისტთა ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებას ეხმაურება. შამბა აცხადებს, რომ ქართველი მეგობრები ჰყავს და დროა, საქართველოსთან ურთიერთობების დარეგულირებისთვის დიალოგი დაიწყოს.

– სერგეი შამბამ წლების შემდეგ ახლახან განაცხადა, ქართველებს მტრებად არ მივიჩნევ და დროა, დიალოგი დავიწყოთო. როგორ ფიქრობთ, დიალოგის დაწყება მისი სურვილია თუ უკარნახეს? რა იფიქრეთ, როდესაც მისი განცხადება წაიკითხეთ?

– რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში („ახალ თაობასთან“ – გ.ბ.) ვთქვი, მე სერგეისთვის მისი დაკარგული სინდისი ვარ-მეთქი. შემომითვალა, ასე რატომ თქვიო? შევუთვალე, სინდისი რომ არ გქონდეთ დაკარგული, მაშინ აქ არ ვიქნებოდი-მეთქი. ახლა ამ განცხადებას აკეთებს. თუ სერგეის დიალოგის საჭიროების შესახებ განცხადების გაკეთება კრემლიდან უკარნახეს, ეს უკვე გასარკვევია. ამას, რა თქმა უნდა, ცოტა ირონიით ვამბობ.

რეალურად, აფხაზეთში ისეთი მდგომარეობა არ არის, როგორიც მათ უნდოდათ და თავისუფლება ისეთი თავისუფლება არ არის, როგორიც მათ წარმოედგინათ. არამდგრადი სიტუაციაა, კრიმინალი, არაღიარება და სხვა პრობლემებია, რომლის ჩამოთვლასაც არ დავიწყებ. რაც მთავარია, ცუდი დემოგრაფიული მდგომარეობაა. 3 ათასი ეთნიკურად აფხაზი რომ კვდება და 700 იბადება, ამაზე, მგონი, ჭკვიან ადამიანს გაუჩნდება კითხვა, რა ხდება?

– ბატონო გია, აფხაზები ვერ ხვდებიან, რატომ არის ასეთი კატასტროფული დემოგრაფიული მდგომარეობა?

– ხვდებიან, ეს ქართველებთან ომის შედეგია. ისინი იმასაც ძალიან კარგად ხვდებიან, რომ მათი გადარჩენის ერთადერთი შანსი ჩვენს წიაღშია. პატრიოტი ადამიანები ამას ხვდებიან და დიალოგზე იწყებენ ლაპარაკს, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი თავიან დამოუკიდებლობაზე უარს იტყვიან. ეს გამორიცხულია. რაღაც ფორმით დევნილების დაბრუნებაზეც შეიძლება იყოს ლაპარაკი გარკვეული ფორმით. ერთი სიტყვით, დიალოგს გვთავაზობენ. ამ დიალოგში აუცილებლად უნდა შევიდეთ.

– დღეს სერგეი ჩამბა აღარ არის ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენელი. რა გავლენა აქვს მას დღეს აფხაზეთში და რამდენად შეიძლება, მოუსმინონ მის სიტყვას?

– შეიძლება, დღეს სერგეის ის ადგილი აღარ უკავია, რომელიც ჰქონდა, მაგრამ თავის დროზე სერგეი და მისი ძმა ტარას შამბა იყვნენ სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერები. „აიდგილარას“ პირველი თავმჯდომარე იყო. ერთი სიტყვით, გავლენა მაინც აქვთ. გარდა ამისა, აფხაზეთში კლანური ურთიერთობებია. იქ კლანების წარმომადგენლებს ყოველთვის, გარკვეულწილად, უსმენენ. ამიტომ, რა თქმა უნდა, გარკვეული გავლენა შამბას აქვს.

– მოგეხსენებათ, შაბმა იმასაც აღიარებს, რომ ის ლიდერი იყო ქართველებთან ბრძოლაში.

– ჰო, არ მალავს.

– ასევე, პირველმა დავიწყე საუბარი იმაზე, რომ დროა, დიალოგი დავიწყოთ.

– თუ ეს კრემლის გზავნილია, მოვუსმინოთ. კრემლის გარეშე სერგეი ვერაფერს გააკეთებს. ვნახოთ, დაველოდოთ.

– არ უშვებთ, რომ შამბამ კრემლის გარეშე დიალოგის შესახებ განცხადებები შეიძლება გააკეთოს? შეიძლება გადახარშა ყველაფერი და მიხვდა, რომ კრემლი არ არის მათი გადამრჩენელი?

– თუ სერგეი ადამიანურ დონეზე აკეთებს ქართველებთან დიალოგის საჭიროების შესახებ განცხადებას, მხოლოდ მივესალმები, მაგრამ, არა მგონია, ისეთი თავისუფალი იყოს თავის ქმედებებში, რომ ასეთი განცხადება გააკეთოს და შეთანხმებული არ იყოს ვიღაცასთან. ვნახოთ.

დღეს აფხაზეთი არ არის თავისუფალი, ყველაფერი კრემლის ნებაზეა დამოკიდებული, მათ შორის, სერგეიც.

– ჩვენ უნდა ვიფიქროთ ერთობლივ მომავალზე, რადგან მეზობელი ქვეყნები ვართო. ეს შამბას სიტყვებია. შერიგებაზე აფხაზ სეპარატისტებიდან ასეთი სიტყვები ჯერ არავის უთქვამს და ამაზე ჯერ არავის დაუწყია საუბარი.

– კარგია, ძალიან კარგი.

– შამბა აფხაზეთს დამოუკიდებელ ქვეყნად წარმოგვიდგენს და ამ კონტექსტში ერთობლივ მომავალზე საუბრობს. როგორ ფიქრობთ, რა ფორმით შეიძლება იყოს ეს „ერთობლივი მომავალი“ ქართველებსა და აფხაზებს შორის?

– ბევრი შეთავაზება შეიძლება იყოს. ჩვენც რაღაცები გვაქვს გაკეთებული ამ კუთხით. დღეს საქართველომ შეიძლება ისაუბროს ასიმეტრიულ ფედერაციაზე და რაღაც ურთიერთობები იყოს ამ კუთხით. აქაც შეიძლება, სხვადასხვა ვარიანტი განვიხილოთ. არსებობს შვეიცარიის, გერმანიაში ბავარიის ვარიანტი, არსებობს ესპანეთის ვარიანტები. რაღაც ისეთი ფორმა უნდა გამოვნახოთ, რომ ინტერესები ერთმანეთს დაემთხვეს.

ერთადერთი უფლება, რაც არ უნდა ჰქონდეს ჩვენს გამიჯნულ რეგიონებს, არის გამოყოფა. დანარჩენი ძალიან, ძალიან დიდ დათმობებზე შეიძლება წავიდეთ, რომელიც იქნება ორივე მხრიდან.

– ისე, შამბა მეზობელ ქვეყნებში მხოლოდ საქართველოს არ გულისხმობს. ალბათ, რუსეთსაც გულისხმობდა.

– რა თქმა უნდა, ამას ვერ გავექცევით. რუსებთანაც სალაპარაკო და ბევრი რამ მოსაგვარებელია.

– ეროვნულ სახელმწიფოებს შორისაც ყოფილა კონფლიქტები და შერიგებულანო. ეროვნულ სახელმწიფოებში რას შეიძლება გულისხმობდეს?

– ალბათ, ევროპას გულისხმობს, იქ ხომ შეთანხმდნენ და შერიგდნენო. ჩვენც ასე უნდა გავაკეთოთო.

– მე უფრო ის ვიფიქრე, ერთი ოჯახის შვილები – ძმები როცა ჩხუბობენ, შემდეგ ხომ რიგდებიან?

– მე ისე გავიგე, ევროპულ სახელმწიფოებზე საუბრობდა. ალბათ, მხედველობაში აქვს ესპანეთი, რომელიც ფრანკომ გააერთიანა და მშვენიერი ქვეყანა ააწყო.

– ეროვნული სახელმწიფოები ერთმანეთს ეომებოდნენ და ყოველთვის დგება ურთიერთობათა დარეგულირების პერიოდიო.

– სწორი აზრია, ურთიერთობის დარეგულირების პერიოდი აუცილებლად უნდა დადგეს.

– თქვენ წახვიდოდით შამბასთან მოლაპარაკებაზე?

– რასაკვირველია, წავიდოდი.

– შეხვედრაზე პირველად რას ეტყოდით?

– არ ვიცი, ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ თავის დროზე ისინი ამბობდნენ, სჯობს, ოკეანეში დავიხრჩოთ, ვიდრე ჭაობშიო. ჭაობში საქართველო იგულისხმებოდა. ხუმრობით ვეტყოდი, დახრჩობა ოკეანეში, საერთოდ, კარგია-მეთქი.

– დღეს აფხაზები ოკეანეში არიან თუ ჭაობში?

– დღეს აფხაზები ჭაობში არიან.

– ჭაობში არიან, ითრევს დიდი რუსეთი და შთანთქმით ემუქრება.

– აფხაზები ხვდებიან, რომ რუსეთთან მათ მომავალი არ აქვთ. მათი გადარჩენის გზა მხოლოდ საქართველოს წიაღშია მენტალური, კულტურული და ყველა თვალსაზრისით.

– საინტერესოა, შამბა რუსის ჯარს რას უშვრება, როდესაც ერთობლივ მომავალზე საუბრობს? მოგეხსენებათ, გალში დიდი სამხედრო ბაზა აა შენეს, გუდაუთაში ისედაც იყო სამხედრო ბაზა. არის კიდევ საიდუმლო ლაბორატორია, საიდანაც 1991 წელს საქართველოში მიწისძვრა გამოიწვიეს, რაზეც სერიოზულად საუბრობდნენ. ამ პირობებში აპირებს შერიგებას შამბა?

– არ ვიცი, მაგრამ თვითონ ეს გზავნილი მნიშვნელოვანია. შეიძლება, ამ კუთხით ვიფიქროთ. ჩვენ რომ ერთად დავეტოვებინეთ, მაშინ არც კონფლიქტი იქნებოდა. არც ახლა დაგვტოვებენ აფხაზებთან დიალოგში მარტო. მედიატორი, ალბათ, პირველ რიგში, რუსეთი იქნება, შემდეგ – ამერიკა და ა.შ. ყველა შემთხვევაში შამბას განცხადებას ძალიან დადებითად ვაფასებ.

– ბატონო გია, ახლა ის ვარიანტი განვიხილოთ, რომ, დავუშვათ, რუსეთმა გააკეთებინა შამბას დიალოგის საჭიროების შესახებ განცხადება. ამ შემთხვევაში რა შეიძლება უნდოდეს რუსეთს?

– რუსეთისთვის ყველაზე კარგი სქემა იქნება კონფედერაცია. ეს იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფოების რაღაც გაერთიანება, რომელიც, შესაძლოა, ერთ დღეში დაიშალოს. ლაპარაკი ბევრ რამეზე შეიძლება იყოს, მაგრამ ერთი რამ ცალსახა უნდა იყოს, სეცესიის, ანუ საქართველოდან გამოყოფის უფლება არ ჰქონდეთ, დანარჩენ ბევრ უფლებაზე შეიძლება ლაპარაკი.

– შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსეთს ყელში აქვს გაჩხერილი საქართველოს პრობლემები. ამერიკამ ორი დღის წინაც მოუწოდა რუსეთს, საქართველოს ტერიტორიებიდან – აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ჯარი გაიყვანოს.

– ძნელი სათქმელია, რუსეთი მარტივად არ თმობს თავის ხარვეზებს. ეს ყველამ იცის და ვნახოთ, ყველაფერი ძალიან დიდად დამოკიდებულია საერთაშორისო დიპლომატიასა და იმ პირობებზე, რომლებიც დღეს მსოფლიოშია.

– ამიტომ შეიძლება რუსეთს უნდოდეს რაღაც თავისებურად, თავისი გეგმით ამ საკითხის მოგვარება?

– რა თქმა უნდა, ვნახოთ, თუ იქამდე მივა საქმე, რას შემოგვთავაზებენ. ბევრი ვარიანტია, ვნახოთ, რაზე იქნება ლაპარაკი.

– შამბას მხრიდან ერთობლივ მომავალზე ლაპარაკი ცოტა მაცდუნებელი განცხადებაა.

– განცხადება დადებითია და ვიფიქროთ, გავიდეს ცოტა დრო.

– დიალოგი თუ დაიწყება, პირველ რიგში, მხარეები უნდა შეთანხმდნენ იმაზე, რომ დევნილებს თავიანთი ახლობლების საფლავებზე გასვლის უფლება მიეცეთ. ადამიანები ახლობლების საფლავებსა და სახლ-კარში, წლებია, ვერ ბრუნდებიან.

– რა თქმა უნდა, ამაზე უნდა ვიმუშაოთ. ჩვენ დიდი ხანია ვცდილობთ, მივაღწიოთ იმას, რომ ადამიანებმა თავიანთი მშობლების საფლავებზე შეძლონ გასვლა. ამაზე სახალხო დიპლომატიის კუთხითაც უნდა ვიმუშაოთ.

– ანუ თქვენც ელოდებით, რომ, თუ დიალოგი დაიწყება, პირველ რიგში, ამ საკითხებს განიხილავთ?

– რა თქმა უნდა.

„ცენტრალური ხელისუფლება თვითმმართველობების მიმართ უფრო მკაცრი უნდა იყოს“

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ინვესტორებისთვის ყველაზე მიმზიდველი თბილისია. კაპიტალდაბანდებების 80%-დე სწორედ დედაქალაქში ხდება. პარალელურად რეგიონები საინვესტიციო შიმშილს განიცდის. რა ხდება თბილისის ფარგლებს გარეთ, პრობლემაზე „კომერსანტი“ აქტიურად წერდა. ვითარება, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. იხილეთ ჩვენი სტატია:

საქართველოს რეგიონები კვლავ საინვესტიციო „შიმშილის“ ზღვარზეა. წლიდან წლამდე მაჩვენებელი თითქმის არ იცვლება – რეგიონებში, პატარა ქალაქებში და მითუმეტეს სოფლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძალიან მცირედით შემოდის. ლიდერი ქალაქი, რომელიც ყველაზე მეტ ინვესტიციას იზიდავს, ისევ თბილისია. შესაბამისად, რეგიონებში ეკონომიკური ზრდა და განვითარება დაბალია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი ინფორმაციით, 2017 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, საქართველოში 346,598.2 ათასი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა. აქედან, ტრადიციულად, ყველაზე დიდი წილი დედაქალაქზე მოდის, სადაც ინვესტიციის მოცულობა 291, 791.7 ათასი დოლარია. მეორე ადგილზე არის აჭარა, სადაც ინვესტიციამ 23,760.8 ათას დოლარს მიაღწია, ხოლო მესამე ადგილზეა ქვემო ქართლი – 22, 894,8 ათასი დოლარი. პროცენტულად მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება: თბილისი – 84,1%, აჭარა – 6,8%, ქვემო ქართლი -6,6%.

რაც შეეხება გასული წლის მთლიან მაჩვენებელს, პროცენტულად განსხვავება დიდი არ არის. 2016 წელს საქართველოში 1,5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, საიდანაც თბილისში ჩაიდო 1,3 მილიარდი დოლარი, ანუ მთლიანი ინვესტიციების 86%. 92 მილიონი დოლარით მეორე ადგილზე იყო აჭარა, მთლიანი ინვესტიციების 5,8%, შემდეგ მოდიოდა სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია – 34,1 მილიონი დოლარით, რაც ინვესტიციების 2,1%-ს შეადგენს.

ხელისუფლების მხრიდან დაპირება არაერთხელ ყოფილა, რომ რეგიონები, დიდი ქალაქები, სოფლები განვითარდება, თუმცა რეალური შედეგი სტატისტიკური მონაცემებიდან კარგად ჩანს. ისიც ფაქტია, რომ სახელმწიფოს ჩარევა საჭიროა, რადგან თბილისის გარდა, სხვა ქალაქებიც უნდა გახადონ ინვესტორებისთვის მიმზიდველი. ამის შესახებ ეკონომიკის ექსპერტებიც მუდმივად საუბრობენ.

როგორც თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის თავმჯდომარე ოთარ ანგურიძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, ქვეყანაში არის იმის ტენდენცია, რომ მთელი ყურადღება თბილისზეა გადატანილი.

– პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხრივ თბილისის ლიდერობა განპირობებულია იმ ტენდენციით, რომ მთელი ყურადღება დედაქალაქზეა გადატანილი. ამას ემატება მოსახლეობის გადაადგილების დინამიკაც რაიონებიდან და სოფლებიდან მსხვილი ქალაქების მიმართულებით. თუმცა მსგავსი ტენდენცია თუ დინამიკა მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი არ არის. ეს ზოგადად განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას ახასიათებს, როდესაც ეკონომიკურად მხოლოდ რამდენიმე მსხვილი ქალაქი ვითარდება და სხვა ქალაქები იგივე ტემპში ვერ მიდიან. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ძირითადი უცხოური კაპიტალი კონცენტრაციას მაინც მსხვილ ადმინისტრაციულ ქალაქებზე აკეთებს. ჩვენს შემთხვევაში ასეთებია თბილისი, ბათუმი და ნაწილობრივ ქუთაისიც. ეს სტატისტიკურ მონაცემებშიც ჩანს, – აღნიშნავს ანგურიძე.

კითხვაზე, ბოლო წლებში მაინც რატომ ვერ ახერხებს ვერც ერთი ხელისუფლება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა თბილისის გარდა, სხვა ქალაქებშიც ასე თუ ისე გაიზარდოს და ეკონომიკა განვითარდეს, ანგურიძე პასუხობს: „სახელმწიფოს მხრიდან მეტი საშეღავათო პირობები უნდა იყოს შექმნილი რეგიონებისთვის, როგორიც არის მაღალმთიან რეგიონებში. კარგი იქნება, თუ ეკონომიკური მიმართულებით უფრო სტრუქტურულად დაიყოფა. თავად ხელისუფლებამ უნდა დაასახელოს, კონკრეტულ რეგიონში კარგ ეფექტურ შედეგს რა მოიტანს.

– სახელმწიფომ და ბიზნესმა შეთანხმებულად უნდა გადაჭრას პრობლემა, რომ ინვესტორთა ინტერესის სფერო მხოლოდ თბილისი და ბათუმი არ იყოს. სახელმწიფო ბიზნესს თუ გარკვეული სახის სტიმულირებას არ მისცემს, ის რეგიონის განვითარებას დამოუკიდებლად თავის თავზე ვერ იტვირთავს, – აღნიშნავს ანგურიძე.

მისივე თქმით, იმისთვის რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება სხვადასხვა რეგიონებში გადანაწილდეს, ამაზე როგორც ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ასევე ადგილობრივმა თვითმმართველობებმაც უნდა იზრუნონ.

– ამა თუ იმ ქალაქის ეკონომიკის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობებზეა დამოკიდებული, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ამ მიმართულებით ძალიან პასიურობენ და მიმდინარე რუტინული სამუშაოებით არიან დაკავებულები. ცენტრალური ხელისუფლებისგან მკაცრი მოთხოვნა უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ, რომ ეკონომიკურ პროექტებს მეტი ყურადღება დაეთმოს. ეს ადგილზე მოსახლეობის დასაქმებას, სოციალური ფონის გაუმჯობესებას და ასევე, მთლიანად ქვეყნის განვითარების პროცესს ხელს შეუწყობს. ცენტრალური ხელისუფლება თვითმმართველობებს მიმართ უფრო მკაცრი უნდა იყოს. ასე რომ, ახლადარჩეულმა თვითმმართველობებმა დიდი სამუშაო უნდა შეასრულონ, რადგან მათზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, – აცხადებს ოთარ ანგურიძე.

ამასთან, თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის თავმჯდომარე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ მოსახლეობა იძულებულია, მსხვილი ქალაქებისკენ წავიდეს, რადგან პატარა ქალაქებსა და სოფლებში განათლების მიღებისა და დასაქმების პერსპექტივა თითქმის არ აქვთ:

– აუცილებელია, რომ მოსახლეობას სხვა დიდ ქალაქში გადასვლის სურვილი არ გაუჩნდეს და ადგილზე ჰქონდეს შესაძლებლობები. ადამიანები დაგროვილი თანხების დედაქალაქში აკუმულირებას არჩევენ, რადგან პატარა ქალაქებსა და სოფლებში ამას ვერ ახდენენ. სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად სამშენებლო სექტორში ხორციელდება. შესაბამისად, ხალხი ცდილობს, უძრავი ქონება დიდ ქალაქებში შეიძინოს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 751.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის დაზუსტებულ მაჩვენებელზე 5.5 პროცენტით ნაკლებია.

2017 წლის II კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების მიხედვით, პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 36.6 პროცენტით, მეორე ადგილზე – ნიდერლანდები 12.4 პროცენტით, ხოლო მესამე ადგილზე თურქეთი – 11.3 პროცენტით.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2017 წლის II კვარტალში 66.3 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 130.4 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 37.6 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობის სექტორი 70.0 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – სასტუმროების და რესტორნების სექტორი 29.3 მლნ აშშ დოლარით.

ფქვილისა და ბუნებრივი აირის გაძვირების ფონზე მეწარმეები პურის ფასს გადახედავენ



პურ-პროდუქტების სექტორის წარმომადგენლებს ჯერ არ აქვთ ინფორმაცია, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ გადაწყვეტილებით, კომერციულ მომხმარებელს 16 აგვისტოდან ბუნებრივი აირის საფასური გაუძვირდა. „პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე“ მალხაზ დოლიძის განცხადებით, „ყაზტრანსგაზ თბილისს“ ბინესოპერატორები ჯერ არ გაუფრთხილებია.

– ინფორმაციას არ ვფლობთ. სამწუხაროა, რომ ტარიფი 75 თეთრიდან 80,5 თეთრამდე გაძვირდა. ეს წარმოების თვითღირებულებას გაზრდის. ტარიფი ისედაც მაღალია ბუნებრივ აირზე, ხოლო მოწოდების ხარისხი – დაბალი, – ამბობს მალხაზ დოლიძე.

მალხაზ დოლიძის განცხადებით, მეწარმეები ტარიფის ზრდის ფონზე პურის ფასის კალკულაციას თავიდან მოახდენენ:

– მრიცხველს, რომელიც ღუმელებთანაა დამონტაჟებული, კორექტორი აქვს, რომელსაც კოეფიციენტი გამოჰყავს. ეს დამოკიდებულია ღუმელის ტემპერატურაზე. ბუნებრივია აირზე ფასის ცვლილება პროდუქციაზე ფასის მატებას გამოიწვევს და პურის თვითღირებულებას დააწვება. თუმცა რამდენი თეთრით გაძვირდება პური, ეს დასათვლელია.

მალხაზ დოლიძის ინფორმაციით, გაზს ტარიფის ხარჯი პროდუქციის თვითღირებულებაში 20%-ია, კუსტარული წარმოებისთვის – 30%.

– ამას ემატება ისიც, რომ ორი კვირაა ფქვილი მკვეთრად გაძვირდა. თუ 50-კილოგრამიანი ტომრის შეძენა 35 ლარად იყო შესაძლებელი, ახლა ფასი 42 ლარია. გაზის ტარიფისა და ფქვილის გაძვირების ფონზე პურის ფასი გადასახედია.

კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ გადაწყვეტილებით, 16 აგვისტოდან თბილისში კომერციული მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის ფასი ერთ კუბურ მეტრზე 75 თეთრის ნაცვლად 80.5 თეთრი იქნება (დღგ-ს ჩათვლით).

კომპანია განმარტავს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მხოლოდ კომერციულ საწარმოებს ეხება. მოსახლეობისთვის გაზის საფასური არ იმატებს. „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ დღეს ჯამში 500.000-მდე აბონენტს ემსახურება. გაზის ტარიფის კორექტირება კი მხოლოდ 15 ათასი აბონენტისთვის მოხდება.

ცნობისათვის, კომერციული მომხმარებლისთვის ტარიფი დარეგულირებულია და ბიზნესოპერატორს ტარიფის გაზრდა სემეკის თანხმობის გარეშე შეუძლია.

კომერსანტი

საქსტატი – II კვარტალში ხორცის წარმოება, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 13%-ით შემცირდა

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2018 წლის II კვარტალში ხორცის წარმოებამ 14.0 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2017 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 13.0 პროცენტით ნაკლებია.

ამავე პერიოდში, რძის წარმოებამ 183.4 მლნ ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 5.2 პროცენტით ნაკლებია.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებულია 156.5 მილიონი ცალი კვერცხი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 0.1 პროცენტით აღემატება.

კომერსანტი

ახმეტის მერიამ თუშეთში ერთ ფრენაში 21 ათას 300 ლარი გადაიხადა

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიამ 2016-2017 წლებში თუშეთში 5 საჰაერო ფრენის მომსახურება შეისყიდა, რისთვისაც 95 500 ლარი გადაიხადა. ამის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშშია აღნიშნული.

ანგარიშის თანახმად, ბიუჯეტებით გათვალისწინებული ქვეპროგრამის თუშეთის მოსახლეობის ავიარეისით მომსახურების ფარგლებში, შესყიდვა განხორციელდა ორი ელექტრონული ტენდერის საშუალებით და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები. კერძოდ, 2016 წელს 70.000 ლარის, ხოლო 2017 წელს 25.500 ლარის ღირებულების ხელშეკრულება.

ბიუჯეტების მიხედვით, ქვეპროგრამის დანიშნულებაა ამინდის გაუარესების დროს შექმნილ უგზოობის პერიოდში თუშეთის მოსახლეობას ავიარეისით უფასო მომსახურება გაუწიოს. შემსყიდველი ორგანიზაცია კი პასუხისმგებელია შესყიდვის რაციონალურად განხორციელებაზე.

აუდიტის ანგარიშის თანახმად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში სულ 5 ფრენა განხორციელდა და ანაზღაურებულმა თანხამ 95.5 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის 3 ფრენის ფარგლებში მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის გადაყვანა და მათთვის საჭირო სასურსათო მარაგისა და საჭირო ინვენტარის გადატანა. რაც შეეხება დანარჩენ ორ ფრენას, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ისინი განხორციელდა თუშეთში მცხოვრები პირებისათვის საახალწლო სასაჩუქრე პაკეტების გადასაცემად.

– კერძოდ, 2016 წლის 29 თებერვალს ვერტმფრენით იმგზავრა მუნიციპალიტეტის შვიდმა წარმომადგენელმა და შვიდმა ადგილობრივმა მოსახლემ, მგზავრობის ღირებულებამ შეადგინა 21.300 ლარი და ადგილობრივ მოსახლეობას გადაეცა 1300 ლარის ღირებულების სასაჩუქრე პაკეტები. 2017 წლის 21 თებერვალს, ავიარეისით იმგზავრა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა და მათ მიერ მოწვეულმა სტუმრებმა, სულ 19-მა ადამიანმა. მგზავრობის ღირებულებამ შეადგინა 25.500 ლარი და ადგილობრივ მოსახლეობას გადაეცა 2 600 ლარის ღირებულების სასაჩუქრე პაკეტები და მედიკამენტები (მედიკამენტების ღირებულება შეადგენდა 138 ლარს). აღნიშნული ორი ფრენის ფარგლებში მოხდა 3 900 ლარის ღირებულების სასაჩუქრე პაკეტების ადგილობრივი მოსახლეობისათვის გადაცემა, რომლისთვისაც მუნიციპალიტეტმა 46.800 ლარის ხარჯი გასწია, – აღნიშნულია აუდიტის ანგარიშში.

იპნ.გე

„ბიუ-ბიუს“ ჯიხურები ქალაქის იერსახეს არ შეესაბამება“

თბილისის მერია კომპანია „ჩირინას“ დამფუძნებლის, ბიზნესმენ რევაზ ვაშაკიძის პრეტენზიას პასუხობს.

საქმე ის არის, რომ ბმ.გე-თან ინტერვიუში რევაზ ვაშაკიძემ თქვა, რომ ის მერიას თბილისში „ბიუ-ბიუს“ ჯიხურების ლოკაციის შენარჩუნებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ბიზნესმენმა „ბიუ-ბიუს“ წარმოების პროცესი გააჩეროს.

დედაქალაქის მერიის განცხადებით, კომპანია „ბიუ-ბიუს“ ხუთწლიანი იჯარის ვადა რამდენიმე თვის წინ ამოეწურა და, ვადის გასვლის მიუხედავად, იმ ტერიტორიების დაცლა, სადაც მათი ჯიხურებია განთავსებული, მერიას ჯერ კიდევ არ მოუთხოვია.

„კომპანიას მიეცა დამატებითი ვადა, რომ საწარმოო პროცესი არ შეეჩერებინა“, – აცხადებენ მერიაში.

მათივე ინფორმაციით, კომპანიამ დედაქალაქის მერიაში იჯარის გაგრძელება იმავე ადგილებში მოითხოვა, რაც ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა, სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

– ამიტომ კომპანიას მიეცა წინადადება ისეთი ალტერნატიული ადგილების მოძიების შესახებ, რომელზეც მუნიციპალიტეტს პრობლემა არ ექნება. ახალი ადგილების შერჩევამდე მათ არსებულ ლოკაციებზე დარჩენის უფლება აქვთ. მერიის შეთავაზების მიუხედავად, კომპანიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ იმავე ადგილებში უნდა დარჩნენ, რაზეც ურბანული განვითარების სამსახურს საკმაოდ ობიექტური შენიშვნა აქვს – აღნიშნული ჯიხურები ქალაქის იერსახეს არ შეესაბამება, ზოგ შემთხვევაში კი ქვეითების გადაადგილებას აფერხებს და ტროტუარებს ავიწროებს, – აცხადებენ მერიაში.

ბმ.გე

დედამ და ბებიამ ახალშობილი 1.000 ლარად გაყიდეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა დედა-შვილი ახალშობილი ბავშვის გაყიდვისას დააკავეს.

ინფორმაციას შსს ავრცელებს.

ლაპარაკია 1989 წელს და 1960 წელს დაბადებულ ქალებზე. დანაშაული 14-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 1989 წელს დაბადებული ლ.შ. მშობიარობის შემდეგ ახალშობილი შვილის გაყიდვას აპირებდა. იგი დედასთან – 1960 წელს დაბადებულ პირთან ერთად, ბავშვის შეძენის მსურველებს ეძებდა, რომლებთანაც თანხასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს პირადად აწარმოებდა.

დედა-შვილმა ახალშობილი სამშობიაროდან გამოწერის დღესვე, 1000 ლარის სანაცვლოდ გაყიდეს. სამართალდამცველებმა ორივე მათგანი მყიდველის მიერ თანხის გადაცემის დროს დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 143-პრიმა-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ უმწეო მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვნის გაყიდვას გულისხმობს.

ანსამბლ „ოდოიას“ წევრი ზაალ ზარქუა საკუთარ სახლში ჩამომხრჩვალი იპოვეს

ანსამბლ „ოდოიას“ წევრი ზაალ ზარქუა საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

მომღერალმა სიცოცხლე, სავარაუდოდ, თვითმკვლელობით დაასრულა.

34 წლის მომღერალი საკუთარ საცხოვრებელ სახლში ჩამომხრჩვალი 16 აგვისტოს იპოვეს.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტში „ქუთაისის აეროპორტი“, არადეკლარირებული საქონლის, კერძოდ, ოქროს ნაკეთობების საზღვარზე უკანონოდ შემოტანის ფაქტი აღიკვეთა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის ტ.ბ.-ს ფიზიკური და კუთვნილი ხელბარგების დათვალიერებისას, ოქროს ნივთები (საერთო წონა 84,26 გრამი) აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 6,263 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, შეეფარდა ფულადი ჯარიმა, 6,263 ლარის ოდენობით.

ურეკში მაშველებმა 27 წლის ქალი გადაარჩინეს

დაბა ურეკში მაშველებმა 27 წლის ქალი გადაარჩინეს. ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

ახალგაზრდა ქალი ზღვაში 70-80 მეტრის სიღრმეში იყო შესული და ნაპირზე გამოსვლას ვერ ახერხებდა

მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

უცოლო კაცების სოფლები

გოდერძი ჩოხელის „ნატირალმაც“ ვერ უშველა, ახლა არაგვი ნასახლარებს მიუყვება. ხევსურეთი თითქმის ნახევსურალია, ფხოვიც ლამის ნაფხოვარი. უკანაფშავის ჯერ კიდევ ცოცხალ სოფლებში, შუაფხოს ზემოთ, თითო ან ორი-სამი ადამიანიღა შემორჩა, 70 წელს გადაცილებული მოხუცები. ელიაგზაში, ჩალახევში, ვაკისოფელში, ხოშარაში, ჭიჩოსა და სხვა სოფლებში მინიმუმ 19 წელია ბავშვი არ დაბადებულა.

26 წლის ლუხუმ ჯაბანიშვილი მუდმივად უკანაფშავში ცხოვრობს, დასაოჯახებელია. გოგოები კი არიან შუაფხოში და ქვემოთ სოფლებში, მაგრამ სულ 30-35 ოჯახია და ერთმანეთის ნათესავები ვართო, ამბობს. უკანაფშავიდან ბარში ჩასვლასაც იშვიათად ახერხებს. საქონელს და ფუტკარს უვლის, თავს ვერ ანებებს. თვითონაც ფუტკარივით შრომობს.

„აქედან რომ წავიდეთ და ვინმე გავიცნოთ, მაგისთვისაც ვერ ვიცლით. თან, აქ მცხოვრებსაც სწყინდება და ბარიდან არავინ წამოვა, რომ ოჯახი შექმნა კაცმა. ზამთარში კიდევ უფრო რთულია აქ ცხოვრება“.

უკანაფშავში არ არის ელექტროენერგია. „დასარეკიც“ შორსაა, ზოგ სოფელში რამდენიმე ასეულ მეტრში, ზოგან კი რამდენიმე კილომეტრი მთაზე ასვლაა საჭირო.

„ზამთარში მარტო მეღა ვრჩები, სხვა ახალგაზრდები მიდიან. გზაც იშვიათად იწმინდება. შეიძლება, ერთი თვე ისე გავიდეს, არც გაიწმინდოს. არც ექიმია, ზოგჯერ ვერც სასწრაფო ამოდის. სკოლაც შორსაა აქედან. საბავშვო ბაღი მთელ უკანაფშავში არ არის, არც ინტერნეტია“.

სკოლა თვითონაც მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელში დაამთავრა. უკანაფშავის სკოლაში რომ ევლო, ყოველდღიურად 28 კილომეტრი ფეხით სიარული მოუწევდა. 2017 წლამდე შუაფხოს სკოლა საშუალოც არ იყო.

8 წელია რაც ზამთარ-ზაფხულ ჭიდალშია. საოჯახო სასტუმროს გახსნას გეგმავს. ბოლო პერიოდში ბორბალოს მთისკენ მიმავალ ტურისტებს ხედავს – ტურიზმი რომ განვითარდეს, იქნებ ცოტა ხეობასაც ეშველოსო.

ორ-სამ წელს კიდევ აპირებს დარჩენას. თუ არაფერი შეიცვალა, ისევ მისაქციელში დაბრუნდება.

„გზა, ინტერნეტი და ტელეფონი რომ იყოს, შეიძლებოდა, ბარიდან ვინმე წამოსულიყო და ოჯახი შეექმნა კაცსა.“

40 წლის ვასო წოწკოლაურიც დასაოჯახებელია, მუქოში – „თუ პირობები არ იქნება, ყველა წავა. მოხუცებიღა რჩებიან და ესენიც რომ აღარ იქნებიან, დანარჩენი სოფლებიც დაიცლება“.

მოისამბები

რეგულირების სააგენტო აფთიაქებს კიბოს რისკის გამომწვევი წამლის ამოღებისკენ მოუწოდებს

სამედიცინო რეგულირების სააგენტომ ფარმაცევტულ დაწესებულებებს მიმართა, შეწყვიტონ კომპანია „Zhejiang Huahai Pharmaceuticals-ის“ მიერ წარმოებულ აქტიურ ფარმაცევტულ ინგრედიენტ „Valsartan-ის“ შემცველი ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია და უზრუნველყონ მათი ბაზრიდან გამოთხოვა. აღნიშნული მედიკამენტი მაღალი არტერიული წნევის სამკურნალოდ გამოიყენება.

როგორც სააგენტოს მიერ 17 აგვისტოს გავრცელებულ განცხადებაში წერია, სააგენტომ აღნიშნული მედიკამენტის რეგისტრაცია შეაჩერა და ამის მიზეზად ევროპის მედიკამენტების სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები დაასახელა. ამ კვლევის მიხედვით, „Valsartan-ის“ მიღება სიმსივნის გამოწვევის რისკს ზრდის.

– ევროპის მედიკამენტების სააგენტოს განცხადებით, პაციენტის ჯანმრთელობისათვის მყისიერი რისკი არ არსებობს. ჩინური კომპანია „Zhejiang Huahai Pharmaceuticals-ის“ მიერ წარმოებულ აქტიურ სუბსტანცია „ვალსარტანში“ უკვე დადგენილია მინარევის რაოდენობა (60 ნაწილი 1 მილიონ ნაწილზე). აღნიშნული რაოდენობა პოტენციურად გამოინვევს სიმსივნური დაავადების გამოვლენის სიხშირის მატებას ერთი შემთხვევით, ყოველ 5000 პაციენტში. ესეც იმ პირობით, თუ აღნიშნული 5000 პაციენტი იღებს ჩინური კომპანია „Zhejiang Huahai Pharmaceuticals-ის“ მიერ წარმოებული აქტიური სუბსტანციის „ვალსარტანის“ მედიკამენტს ყოველდღიურად, უმაღლესი დოზით, უწყვეტ რეჟიმში – 7 წლის განმავლობაში, – ნათქვამია რეგულირების სააგენტოს განცხადებაში.

როგორც სააგენტო აცხადებს, ევროპის კომპეტენტური ორგანოს განცხადებით, ვინაიდან არ არსებობს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მყისიერი რისკი, პაციენტებმა არ უნდა შეწყვიტონ მკურნალობა და მიმართონ ექიმს მედიკამენტის ჩასანაცვლებლად, ბაზარზე არსებული ალტერნატიული ფარმაცევტული პროდუქტით.

ინფორმაცია პოტენციურად საშიში მედიკამენტის ქართულ ბაზარზე თავისუფლად გაყიდვის შესახებ, თავდაპირველად On.ge-მ 16 აგვისტოს გაავრცელა.

მერკელი: „პუტინთან შეხვედრისგან სწრაფ შედეგებს არ ველოდები“

– რუსეთთან დიალოგი მნიშვნელოვანია მსოფლიო კრიზისების მოგვარების გზების ძიებისთვის, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან დაგეგმილი შეხვედრა სწრაფ კონკრეტულ შედეგებს მოიტანს.

ამის შესახებ ბერლინში გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა.

– ეს სამუშაო შეხვედრაა – მისგან განსაკუთრებულ შედეგებს არ უნდა ველოდოთ. თუმცა არსებობს ბევრი პრობლემა, უკრაინითა და სირიით დაწყებული და ეკონომიკური თანამშრომლობით დამთავრებული, ამიტომ ჩვენ მუდმივი დიალოგი გვჭირდება, – განაცხადა მერკელმა.

მისივე თქმით, ყველა ამ საკითხში რუსეთს ძლიერი გავლენა აქვს და თუ ამ პრობლემების მოგვარება გსურს, ამისთვის დიალოგია საჭირო.

ПУТИНИ ОСТРИЕЛИ МИНИСТРИС ХОРЗИЛЛИ КАЗАКТА АНСАМБЛЬ ГАЙУВАНЕС

Российский президент остриил на министра иностранных дел Австрии в хорошем расположении. Ансамбль донских казаков исполнил для Путина на свадьбе министра казачьи песни. Об этом сообщает российское СМИ. 10-кратный ансамбль свадебной церемонии традиционные казачьи песни.

Карин Кнайсль Путин остриил в свадебном платье в Вене во время визита лидера России. 53 Кнайсль 65 Вице-бизнесмен Вольфганг Маилингер вышел замуж.

По мнению экспертов, Владимир Путин остриил министра иностранных дел Австрии, страны и страны иностранных дел. Он одобрил серьезный ход.

По его мнению, Путин остриил, что Москва и Вена могут быть серьезными связями. 53 Карин Кнайсль стала министром иностранных дел в декабре 2017 года. Она была выдвинута партией свободных.

Партия свободных в 2016 году заключила мир с Россией. Он выступал за отмену санкций.

Правящая партия в коалиции с партией Австрии. Сейчас Австрия является председателем Совета ЕС. Путина посетили оппозиционные партии и даже политологи. Они считают, что Путин остриил, что Австрия нейтральная политика и выбрала страну.

– Министр иностранных дел Австрии или нет, Путин использует его, – сказал профессор политологии Университета Инсбрука Герхард Манготт. Оба в ЕС.

ИМРАН ХАНИ ПАКИСТАНИС ПРЕМИЕРИ გახდა

პაკისტანის კრიკეტის გუნდის ყოფილი კაპიტანი, იმრან ხანი პაკისტანის პრემიერი გახდა. ამ თანამდებობაზე ის პაკისტანის ეროვნულმა ასამბლეამ აირჩია.

მისმა პარტიამ, „მოძრაობა სამართლიანობისთვის“ ივლისის არჩევნებში გაიმარჯვა. პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ 272-მანდატიანი პარლამენტიდან მხოლოდ 116 ადგილის მიღება შეძლო. უმრავლესობის ფორმირებისთვის კი 137 მანდატის მოპოვება იყო საჭირო და ხანს სამთავრობო კოალიციის შექმნა დასჭირდა.

ის ფიცს 18 აგვისტოს დადებს.

იმრან ხანს პაკისტანის ნაკრებში საერთაშორისო დებიუტი 1971 წელს ჰქონდა, 1982 წელს კი გუნდის კაპიტანი გახდა. 2002-2007 და 2013-2018 წლებში ხანი პაკისტანის ეროვნული ასამბლეის წევრი იყო.

იმრან ხანის მოძრაობას მხარს უჭერენ სხვადასხვა დაჯგუფებები, რომელთაგან ზოგიერთი ძალიან სადავოა, ერთ-ერთი კი, როგორც ამტკიცებენ, დაკავშირებულია „ალ ქაიდასთან“.

პაკისტანში საყოველთაო არჩევნები 25 ივლისს გაიმართა, რომელშიც ათობით მილიონი ადამიანი მონაწილეობდა.

არჩევნების პროცესს მშვიდად არ ჩაუვლია – ქალაქ კვეტაში კენჭისყრის დღეს, ბომბის აფეთქების შედეგად, 30-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. კიდევ ერთ რაიონში პარტიული აქტივისტების შეიარაღებულ დაპირისპირებას ერთი ადამიანი ემსხვერპლა და რამდენიმე დაშავდა. ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში შედარებით პატარა აფეთქებები მოხდა და დაპირისპირებული პარტიის ფუნქციონერებს შორის შეტაკებების გამო ორი ადამიანი დაიღუპა და ათამდე დაშავდა.

წინასაარჩევნო პერიოდის ბოლო კვირებში მოკლეს 180 ადამიანი, მათ შორის პარლამენტის დეპუტატობის 3 კანდიდატი.

ცსს-ს ყოფილი ხელმძღვანელები ტრამპის წინააღმდეგ

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილ დირექტორს, ჯონ ბრენანს, რომელსაც ცოტა ხნის წინ დონალდ ტრამპმა საიდუმლო მასალებზე წვდომა გაუუქმა, სააგენტოს და უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელები მხარს უჭერენ.

მათ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, სადაც ტრამპის გადაწყვეტილება „სიტყვის თავისუფლების ჩახშობის მცდელობად“ შეაფასეს.

მედიასთან ცსს-ს 9 ყოფილი მაღალჩინოსანი აკრიტიკებს ტრამპის გადაწყვეტილებას. მათ შორის არიან ისინიც, ვინც 2016 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის სასარგებლოდ რუსეთის შესაძლო ჩარევის საქმეს იძიებდნენ.



ბრენანისთვის საიდუმლო დოკუმენტებზე წვდომის შეზღუდვამდე, ტრამპმა ბრენანი დაადანაშაულა, რომ ის „უსაფუძვლო, აღმაშფოთებელ ბრალდებებს“ წარადგენდა.

– როგორც ქვეყნის მთავარსარდალს, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის უნიკალური, კონსტიტუციური პასუხისმგებლობა მაქვს. მათ შორის არის საიდუმლო დოკუმენტებზე წვდომაზე კონტროლი. დღეს ამ პასუხისმგებლობის აღსრულების ფარგლებში გადავწყვიტე, ჯონ ბრენანს, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილ ხელმძღვანელს, საიდუმლო დოკუმენტებზე წვდომა შევუზღუდო, – ასეთია დონალდ ტრამპის განცხადება.

ბრენანმა, რომელიც ობამას პრეზიდენტობის დროს ცსს-ს დირექტორი იყო, ტრამპი ტვიტერში სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულა.

ბრენანი აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს 2013-2017 წლებში ხელმძღვანელობდა, პოსტის დატოვების შემდეგ კი დონალდ ტრამპის განსაკუთრებული კრიტიკით გამოირჩეოდა. ჯონ ბრენანმა თეთრი სახლის ლიდერს „პარანოიით შეპყრობილიც“ კი უწოდა.

მარტში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორად პრეზიდენტმა ტრამპმა ჯინა ჰესპელი დანიშნა. ის პირველი ქალია ისტორიაში, რომელიც ამერიკულ დაზვერვას ხელმძღვანელობს.

აშშ თურქეთს დამატებითი სანქციების დაწესებით ემუქრება

აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტის ხელმძღვანელის სტივენ მნუჩინის განცხადებით, ვაშინგტონი თურქეთს დამატებით სანქციებს დაუწესებს თუ თურქეთის ხელისუფლება ამერიკელ პასტორს ენდრიუ ბრანსონს არ გაათავისუფლებს.

– ჩვენ თურქეთის მთავრობის რიგ წევრებს სანქციები დავუწესეთ. კიდევ გვაქვს რიგი ზომები, რომელთა განხორციელებას ვაპირებთ იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის ხელისუფლება ენდრიუ ბრანსონს არ გაათავისუფლებს, – განაცხადა აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

პროტესტანტი პასტორი ენდრიუ ბრანსონი, რომელიც იზმირის რაიონში ცხოვრობდა, 2017 წელს ფეთჰულა გიულენის ორგანიზაციასთან კავშირების ბრალდებით დააკავეს. ამა წლის 7 მაისს ენდრიუ ბრანსონი თურქული სასამართლოს წინაშე წარდგა და უარყო მისთვის წაყენებული ბრალდებები. 25 ივლისს ის შინაპატიმრობაში იყო. თურქეთის პროკურატურა მისთვის 35 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვს.

აშშ-ის ხელისუფლება მკვეთრად აკრიტიკებს თურქეთს ამერიკელი პასტორის საქმის გამო და მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით აშშ-მ სანქციები დაუწესა თურქეთის შს და იუსტიციის მინისტრებს.

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ჯანო ანანიძე — ტალანტი და ალმასი

რუსული ფეხბურთი ოდითგანვე „ბეი-ბეგი“ იყო. ეს ძველებიდან დამკვიდრებული ტერმინია და ქართულად დაარტყი და გაეკიდეს ნიშნავს. ცხადია, ასეთ ფეხბურთში „ტეხნარების“ ადგილი არ იყო. არც ახლაა... ეს იქაურ ნაკრებში, თორემ ეროვნულ ჩემპიონატში ჰყავთ რამდენიმე ტექნიკური ფეხბურთელი. ერთ-ერთი მათგანი საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ჯანო ანანიძეა, რომელიც რეაბილიტაციის შემდეგ ვარჯიშს შეუდგა, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსებს მოენატრათ უკვე მისი ტექნიკური და ღამაზი თამაში და „სპორტ-ექსპრესში“ ვრცელი სტატია მიუძღვნეს.

ვნახოთ, რას წერენ რუსები ქართველზე...

მოსკოვის სპარტაკის 25 წლის ნახევარმცველი აღდგენით პერიოდს გადის კარიერაში ყველაზე რთული ტრავმის შემდეგ. მას მარტის ბოლოს მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა. არ არის გარანტია, რომ მოსკოვურ კლუბში, სადაც შემტევი ნახევარმცველები ისედაც ბევრნი იყვნენ (ახლა მათ რომან ერიომენკოც მიემატა), ჯანო დაბრუნების შემდეგ საჭირო ფეხბურთელი იქნება. არადა, ერთ დროს იყო შეგრძნება, რომ ჯანოს შეეძლო გამხდარიყო საუკეთესო არა მხოლოდ სპარტაკში, არამედ მთელ ჩემპიონატში.

ბავშვში ამხელა თანხა ჯერ არასოდეს გადაგვიხდია

არ არის იოლი დასაჯერებელი, მაგრამ 10 წელზე მეტია, ჯანო სპარტაკშია. ის გუნდში 2007 წლიდან არის. მანამდე კი 3 წელი კიევის დინამოს საფეხბურთო აკადემიაში გაატარა. თუმცა, სპარტაკის სელექციონერებს ის უკრაინაში არ უპოვიათ – ჯანო საქართველოსა და რუსეთის ასაკობრივი მატჩების დროს შეამჩნიეს. მაშინ ანანიძე 15 წლის იყო.

ჯანო ანანიძე:

– პირველი ვარჯიში ჩემს თანატოლებთან ჩავატარე. მეორე ვარჯიშზე ერთი წლით უფროსებთან შემიშვეს. ორმხრივი ვითამაშე და 4 გოლი გავიტანე. მესამე საღამოს უკვე დუბლებში დამიძახეს სათამაშოდ. რუსეთის სამოყვარულო ლიგის გუნდს ვეთამაშეთ. ეს უფრო სიზმარს ჰგავდა. სულ 15 წლის ვარ და სპარტაკის დუბლებში, სადაც 1989 წელს დაბადებული ფეხბურთელები თამაშობენ. ვურეკავ მამას, რომელმაც მშვიდად მითხრა – ნუ გეშინია, ბოლომდე მიაწექი.

განაცხადში არ ვიყავი. მომცეს ტრავმირებული ფეხბურთელის მაისური. როგორც ახლა მახსოვს, მაშინ მაქსიმ ჟიტნევი ვიყავი. ის გარეგნულადაც მგავდა, ქერაა. პირველი ტაიმის შემდეგ სპარტაკი 1:0-ს იგებდა და მეორე ტაიმში შემიშვეს. 2 გოლი გავიტანე. ერთი 30 მეტრიდან, მარცხენით, ცხრიანში გავიტანე, ბადე გახეული იყო, 10 წუთის განმავლობაში მსაჯები თათბირობდნენ, ჩაეთვალათ თუ არა გოლი.

რევაზ ჩელებაძე, ფეხბურთელის პირველი აგენტი:

– მან არა მხოლოდ 2 გოლი გაიტანა, არამედ 2 საგოლე პასიც მისცა თანაგუნდელებს. მთელი თამაში „გააკეთა“. სმოლენცევი, რომელიც მაშინ სპარტაკში სელექციაზე აგებდა პასუხს, მომიახლოვდა და მითხრა, ოღონდ ფასი არ ასწიოთ და ჩათვალეთ, რომ ყველაფერზე მოლაპარაკებულები ვართო. არადა, როცა ბავშვი მინდორზე გავიდა, თავიდან ბევრი იცინოდა. სპარტაკს ანანიძე 300.000 დოლარი დაუჯდა. ხელმძღვანელობა მაშინ ამბობდა, ბავშვში სხვა დროს ამდენი თანხა არც არასოდეს გადაგვიხდიაო.

შედეგრები ახალგაზრდულში

ვინც იცნობს ბავშვთა ფეხბურთს, დაგვეთანხმება, რომ ხშირად აქ პირველ პლანზე გამოდის არა ტალანტი, არამედ ბანალური ფიზიკური ძალა. მაგრამ 10 წლის წინ მის მოკრძალებულ ანთროპომეტრიას ჯანოსთვის ხელი არ შეუშლია. მას ჰქონდა სხვა თვისებები – მინდვრის ხედვა, სისხარტე, არასტანდარტული გადაწყვეტილებები, შესანიშნავი ტექნიკა, დარტყმა. ის საუკეთესო გახდა 2 წლით უფროს და 2 თავით მაღალ ბიჭებს შორის.

იგორ ტიტოვი, რომელიც მაშინ გუნდის ახალგაზრდულ სექტორზე იყო პასუხისმგებელი, განაცხადა, რომ მაშინვე მიაქცია ყურადღება ყველაზე უმცროსს, 15 წლის ანანიძეს, რომელიც მას ყოველდღიურად რაღაცით აკვირვებდა.

2009 წელს საბოლოოდ მოგვარდა დროში „გაწელილი“ სამუშაო ვიზის პრობლემა და ჯანოს შეეძლო, ოფიციალურ მატჩებშიც ეთამაშა. იმ დღიდან მას უკვე არა მარტო თანაგუნდელები, არამედ ქომაგებიც ნახავდნენ. იმ დროს სპარტაკს ძლიერი დუბლშემადგენლობა ჰყავდა და ჯანო ამ ფონზეც ნამდვილი ალმასი იყო.

ანანიძის შესრულებით ხშირად ვხედავდით შედევრებს. ხიმკისთან მატჩისას ბურთი მოიპოვა, გზად 5 მოწინააღმდეგე მოატყუა მეკარის ჩათვლით და ისე გაიტანა. ვალერი კეჩინოვს ეს გოლი თავისი თვალით რომ ენახა, ალბათ აპლოდისმენტებს არ დაიშურებდა.

მერე იყო კრილიასთან შეხვედრა. სამარელთა მეკარემ წამით დატოვა კარი და ქართველმა მას „შევჩენკოს წერტილიდან“ გადაუგდო თავზე ბურთი. ვიცი ბევრი ქომაგი, რომლებსაც არ ენახათ ანანიძე და წარმოიდგენდნენ გადაზრდილ, დიდი გაბარიტების ფორვარდს, რომელიც გოლებს ფიზიკური ძალის ხარჯზე აგდებდა. მერე ისინი მიდიოდნენ იგორ ნეტოს სახელობის სტადიონზე და გაოცებისაგან ღია რჩებოდათ პირი. უკვირდათ, რომ ჯანო მხოლოდ 16 წლის იყო. ამ ასაკში ის აჩვენებდა გაცილებით უკეთეს ფეხბურთს, ვიდრე მისი 18-19 წლის პარტნიორები.

როგორ ადარებდა ჯანოს ჩერენკოვი მსახიობს

ჯანოს თამაში არ გამორჩენია მხედველობიდან სპარტაკის სამწვრთნელო შტაბს ვალერი კარპინის მეთაურობით. 2009 წელს უკვე ძირითად გუნდს შეაჩვიეს. პირველი შეხვედრა ანანიძემ 15 ივლისს, კრასნოდარის წინააღმდეგ ჩაატარა და 90-ე წუთზე სპარტაკელთა მეორე გოლი შეაგდო.

ეს კიდევ ერთი შედევრი იყო. 2 მოტყუებული მცველი და მეკარე, კარში ლამაზად ჩაჭრილი ბურთი... მხოლოდ ეს ეპიზოდი იყო საკმარისი იმისათვის, რომ დებიუტანტის ტალანტში ყველა დარწმუნებულიყო.

აგვისტოში ჯანოს უკვე ჩემპიონატში ჰქონდა დებიუტი. ყუბანთან მატჩში მან ალექსი შეცვალა. მერე იყო ოქტომბრის დერბი ლოკომოტივთან... ჯანომ ყველა დაადუმა... ჯერ პატარა გენიოსმა თავურით გაიტანა, მერე კი, მინდვრის სიღრმიდან საგოლე პასი გაუკეთა ველიტონს. ჯანო ამ დროს 17 წლის და 8 დღის იყო. ეს გახდა ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, ვინც რუსეთის ჩემპიონატში გაიტანა. ეს რეკორდი დღესაც ცოცხალია...

ქართველ ფეხბურთელს ძალიან ხშირად ადარებენ ფიოდორ ჩერენკოვს, რომელიც თავად იყო „შეყვარებული“ ჯანოზე:

– მე აღტაცებული ვიყავი მისი თამაშით, მისი გოლებითა და ტექნიკით. უდიდესი სიამოვნება მომანიჭა იმან, თუ როგორ დაიჭირა მან მოძრაობაზე ლოკომოტივის მეკარე. მე მას შევადარებდი მსახიობს.

– ნეტავ 5 წლით გამახედა წინ და გამაგებინა, როგორ გაიზრდება ეს ბიჭი, – ეს უკვე ეგორ ტიტოვის მაშინდელი სიტყვებია.

ანანიძე თვით არსენ ვენგერს აინტერესებდა

2009 წლის სექტემბერში ჯანოს დებიუტი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ჰქონდა. დადიოდა ხმები, რომ მას რუსეთის მოქალაქეობას სთავაზობდნენ, ამიტომაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში მიიწვია ჯანო ნაკრებში და მან თვით იტალიის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა. სიჩქარის აუცილებლობა ალბათ არ იყო. ყველა ინტერვიუში ჯანო აჩვენებდა თავის პატრიოტიზმს და ამბობდა, რომ თამაშს მხოლოდ საქართველოს სახელით აპირებდა.

იმ წლის ბოლოს უკვე გაისმა ხმები იმის თაობაზე, რომ ფეხბურთელის გადაბირებით დაინტერესდნენ არსენალი, მილანი, იუვენტუსი, სევილია და ატლეტიკო, მაგრამ სპარტაკის ხელმძღვანელობა ტალანტთან შელევას არავითარ შემთხვევაში არ აპირებდა.

2010 წელი ჯანომ სპარტაკის ძირითად ფეხბურთელად დაიწყო, მაგრამ პროგრესის გაგრძელება ვერ შეძლო. არადა, სტატისტიკა ცუდი არ იყო. მან ჩაატარა 23 მატჩი (12 ძირითადში). მომდევნო სეზონების განმავლობაში კი უკვე აღარ ჰქონდა სათამაშო პრაქტიკა.

ბოჟოვიჩიდან კარერამდე

საუკეთესო სეზონი ანანიძეს 2013 წელს ჰქონდა როსტოვში. მაშინ გუნდს მიოდრაგ ბოჟოვიჩი წვრთნიდა, ხოლო ჯანოს საუკეთესო პარტნიორი არტიომ ძიუბა გახლდათ. 22 შეხვედრაში ქართველმა 3 გოლი გაიტანა და 7 საგოლე პასი შეასრულა. მან მოიგო რუსეთის თასი, რომელიც ფეხბურთელის კარიერაში პირველი ტიტული აღმოჩნდა. მეორე ტიტულის ცდა ჯანოს 2017 წლამდე მოუწია.

2016-17 წლების სეზონში დმიტრი ალენიჩევი ფეხბურთელს ენდო. მწვრთნელის ნდობა ფრთებს მასხამს, – ამბობდა მაშინ ანანიძე. 2017 წლის შემოდგომაზე ჩანდა, რომ ჯანო საბოლოოდ მომაგრდა. მან გაუტანა კვიპროსულ აეკს და 2 შესანიშნავი გოლი შეაგდო ტულის არსენალის კარში.

მალე წავიდა ალენიჩევი და მოვიდა კარერა. ქართველმა იტალიელის ხელმძღვანელობითაც განაგრძო კარგი თამაში. გოლებით დაამახსოვრა თავი ანჟისა და ორენბურგს.

და ამ დროს ფეხბურთელმა შეწყვიტა საგოლე პასების კეთება, გოლების გატანა. წლის თავზე მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ჩანდა, რომ ჯანო არ იყო პირველი კაცი კარერას ტაქტიკურ სქემებში.

რა იქნება ტრავმის შემდეგ?

რამდენიმე წლის წინ ჯანო ანანიძე შემდეგს ამბობდა:

– სერიოზული ტრავმა მხოლოდ ერთხელ მქონდა. 7 თვე გამიცდა მის გამო. მენისკის ოპერაციის შემდეგ 20 დღეში უკვე ვარჯიშს ვიწყებდი. ძალიან ბოროტი ხუმრობაა – 2-3 მილიმეტრით დაშორდება ერთმანეთს მყესები და 2-3 კვირის განმავლობაში უნდა დაისვენო. უფრო სერიოზული ტრავმებისაგან ღმერთმა დამიფარა.

კუნთების ტრავმები ჯანოსათვის მართლაც მთავარ შემაფერხებელ გარემოებად იქცა კარიერაში. მართლაც, ძალიან ძნელია, იპოვო რიტმი, როცა სეზონის განმავლობაში 2-3-ჯერ გიწევს იძულებით უქმობა.

მეორე მიზეზი კი ისაა, რომ ფეხბურთელის ფიზიკური მომზადება უკეთესის სურვილს ტოვებდა. აქ სიმძლავრეში არ არის საქმე. ლუკა მოდრიჩი ჯანოს აღნაგობისაა, მაგრამ ყველა ვხედავთ, რას ჩადის მინდორზე. ანანიძეს გაუჭირდა გადაწყობა დიდ ფეხბურთზე.

– იყო დრო, როცა ყოველდღე დავდიოდი სატრენაჟორო დარბაზში და სიმძიმეებს ვწევდი. მერე შევატყვე, რომ მინდორზე თავს უფრო და უფრო ცუდად ვგრძნობდი. ახლა სატრენაჟორო დარბაზში მხოლოდ ტონუსის შენარჩუნების მიზნით დავდივარ. მიმაჩნია, რომ ორმეტრიან გიგანტთან ფიზიკურ ორთაბრძოლაში შანსი მაინც ნაკლები მაქვს.

ჯანოს სპარტაკში უთამაშებლობით გაკვირვებული იყო საქართველოს ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი:

– არ მესმის, რატომ არ თამაშობს ჯანო სპარტაკში. ის შესანიშნავი ფეხბურთელია. მეორე მხრივ, მას აქვს პრობლემა ფიზიკურ მომზადებაში.

სწორედ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მიიღო ჯანომ კარიერაში ყველაზე მძიმე ტრავმა. მისი გამოჯანმრთელების პროცესი უკვე უახლოვდება დასასრულს. გვინდა გვჯეროდეს, რომ ის არ დაკარგავს თავის საუკეთესო თვისებებს, პირიქით, ახალს შეიძენს. თუ ის გახდება ისეთივე მაგარი, როგორიც იყო 2009 წელს, მაშინ დავიჯერებთ, რომ სასწაულები ფეხბურთშიც ხდება.

ტალანტით ჯანო გოლოვინზე დიდია

ჯანოზე სტატია ფეხბურთელის პირველ აგენტ რევაზ ჩელებაძესთან ინტერვიუთი მთავრდება.

რევაზ ჩელებაძე:

– ანანიძე ქობულეთში ჩემს შვილთან ერთად გაიზარდა. მამამისი, ამირანი, ჩემი ახლო მეგობარი იყო. მან მთხოვა, ჯანოს თამაში მენახა, როდესაც ის ადგილობრივ საფეხბურთო სკოლაში თამაშობდა და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ამის შემდეგ ის თბილისის დინამოს საფეხბურთო სკოლაში წავიყვანეთ, სადაც 1 წელი დაჰყო. ჯანო მალევე კიევის დინამოს სკაუტებმა შეამჩნიეს და ისიც ამ გუნდში გადავიდა. ის ძალიან ძლიერი იყო და ჩვენ გვსურდა, ანანიძეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ეთამაშა, მაგრამ კროშჩენკო, რომელიც დინამოს აკადემიის დირექტორი იყო, გვითხრა, რომ თუ ეს მოხდებოდა, ჯანოს აკადემიიდან გარიცხავდა. ამის მიუხედავად, მან ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. მატჩს სპარტაკის სკაუტები ესწრებოდნენ ესწრებოდნენ. დამიკავშირდნენ და მოსკოვური კლუბის ტექნიკურ დირექტორ ევგენი სმოლენცევს ვესაუბრე, თუმცა ყველა თემა დეტალურად არ გაგვივლია. ამის შემდეგ მოვიდა კროშჩენკოს წერილი, რომელიც იტყობინებოდა, რომ ანანიძე კიევის დინამოს აკადემიიდან გარიცხული იყო. ამ ყველაფრის მერე ის უკვე სპარტაკში წავიყვანე, სადაც მან პირველსავე შეხვედრაში 2 გოლი გაიტანა და ამდენივე საგოლე გადაცემა გააკეთა, ამიტომ მოსკოვურმა კლუბმა მას კონტრაქტი გაუფორმა.

– რა უშლის ჯანოს ხელს, გამოავლინოს მთლიანად თავისი ნიჭი?

– რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეს გამუდმებული ტრავმების ბრალია. ამას გარდა, ის ფიზიკურად სუსტია და სიძლიერე აკლია. მას შეუძლია გახდეს დიდი ფეხბურთელი, თუ ფიზიკურად მზად იქნება. ფეხბურთი პატარა ომია და, თუ ჯანოს წინ ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელი დგას, ის იჩაგრება.

– შეუძლია მას, გახდეს ვარსკვლავი?

– რა თქმა უნდა, შეუძლია.

– არის შანსი, რომ ანანიძემ თავისი თავი იპოვოს?

– ამისთვის მან უფრო მეტი უნდა იშრომოს და ივარჯიშოს. მას ვარსკვლავობისთვის ყველაფერი აქვს. მალე 26 წლის გახდება და ამ პერიოდისთვის ადამიანი კიდევ უფრო მწიფდება. ჯანმრთელობასა და წარმატებებს ვუსურვებ. ის ძალიან ჭკვიანი და ტალანტით დაჯილდოებული ფეხბურთელია. შემიძლია, ანდრეა პირლოს შევადარო.

– რატომ პირლოს?

– ანანიძეს პირლოს მსგავსი აჩქარება აქვს და ნამდვილი საფეხბურთო ხასიათი გააჩნია. ჯანოს ბრძოლისთვის საკმარისი ძალა არ აქვს. მეტმა მუშაობამ და ვარჯიშმა კი, შესაძლოა, ეს შეცვალოს. რუსეთში ასეთი ფეხბურთელი არ ყოფილა.

– ვერც გოლოვინი?

– გოლოვინი მებრძოლია, მაგრამ ჯანოსთან ტალანტით ვერ მოვა. ანანიძე ბურთით აკეთებს იმას, რაც სურს.

მოამზადა მანეული ჟორჟოლიანმა

პატარა ჩიტმა შხამიანი გველი მოკლა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში კრიუგერის ეროვნულ პარკში ვეტერინარი გაბრიელა ბენავიდესი პატარა მწერიჭამია ფრინველის შხამიან გველზე თავდასხმის თვითმხილველი გახდა. მის მიერ გადაღებული ვიდეო იუთუბიში პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ქალის ყურადღება მიიპყრო ორმოში მყოფმა გველმა, რომელიც Rhamphiophis oxyrhynchus-ის სახეობას განეკუთვნება. მას თავს დაესხა ნაცრისფერთავა ბუჩქნარის ბინადარი მწერიჭამია აფრიკული ჩიტი, რომელიც ბეღურასნაირთა რიგს ეკუთვნის. გველს თავი ერთიანად სისხლით ჰქონდა მოთხვრილი, თვალები აღარ ჰქონდა. ის მუქარის ნიშნად პირს აღებდა, მაგრამ ჩიტი მის დაკორტნას აგრძელებდა და საბოლოოდ შიგნეული გამოაგლიჯა.

– ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასეთი პატარა ჩიტი გველს მოკლავდა. საერთოდ არ ვიცი, ნუთუ გველი მის მენიუში შედის, – განაცხადა ბენავიდესმა, – თავდაპირველად მეგონა, რომ ჩიტი თავის ბუდეს იცავდა, მაგრამ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მან გველის შინაგანი ორგანოს რომელიღაც დიდი ნაჭერი წაიღო.

სკეიტბორდმა მოზარდი მეხის დაცემისგან გადაარჩინა

ამერიკელი სკოლის მოსწავლე სკეიტბორდის წყალობით მეხის დაცემის შემდეგ ცოცხალი გადარჩა.

ინციდენტი არიზონას შტატის ქალაქ ელ-მირაჟში მოხდა. 13 წლის ჯოეზაია ვიდმენი სკეიტბორდის დაფით თავის მეგობარ ხავიერთან ერთად სრიალებდა, როდესაც თავსხმა წვიმა წამოვიდა. მოზარდები სახლისკენ გაიქცნენ და გზად ვიდმენს მეხი დაეცა. ის დარტყმამ ჰაერში აისროლა, დაცემის დროს თავი ასფალტს დაარტყა და გონება დაკარგა. ხავიერმა საშველად მეზობელს უხმო. მან სასწრაფო დახმარება გამოიძახა და მოზარდს გულის მასაჟი გაუკეთა.

ვიდმენი საავადმყოფოში მიიყვანეს და ხელოვნურ კომაში გადაიყვანეს. სამი დღის შემდეგ ის გონს მოვიდა, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა.

– მხოლოდ კაშკაშა აფეთქება მახსოვს და მორჩა. მეგონა, რომ უბრალოდ ჩამთვლიმა. ჩემი სკეიტბორდის გარეშე მოვკვდებოდი, ან ტკივილებისგან დავიტანჯებოდი, – განაცხადა მოზარდმა.

შედეგად ვიდმენმა თავის ტვინის შერყევა, თავის ქალის მოტეხილობა, ფეხზე დამწვრობა და მცირე ამნეზია მიიღო. ექიმების მტკიცებით, მოზარდი იოლად გადარჩა.

ბიჭის მშობლები ფიქრობენ, რომ სკეიტბორდის ლითონის ნაწილებმა ელექტრული განმუხტვის ნაწილი საკუთარ თავზე მიიღეს და დაამიწეს. სწორედ ამან გადაარჩინა მათი შვილი.

ქალმა გაცნობის სააგენტოს სასამართლო მოუგო

ლონდონის მკვიდრმა ქალბატონმა გაცნობის სააგენტოს სასამართლო პროცესი მოუგო, რომელმაც მისთვის 13,1 ათასი ფუნტი სტერლინგის გადახდა დააკისრა. ამის მიზეზი კი გახდა ის, რომ ქალმა მისი საოცნებო მამაკაცი ვერ იპოვა

2014 წელს 47 წლის ტერეზა ბურკიმ გაცნობის სააგენტოს მიმართა. ის მდიდარ საქმროს ეძებდა, რომელსაც რამდენიმე რეზიდენცია ექნებოდა და მისგან ბავშვის ყოლას დათანხმდებოდა, იმ სამის გარდა, რომელიც მას უკვე ჰყავდა.

ფირმა ამტკიცებდა, რომ მის მონაცემთა ბაზაში შვიდი ათასი კანდიდატი იყო, თუმცა სინამდვილეში მისი მომსახურებით მხოლოდ ასამდე მამაკაცი სარგებლობდა. ქალისთვის არცერთი არ აღმოჩნდა მისაღები. ამის შემდეგ იმედგაცრუებულმა ქალმა ინტერნეტში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც სააგენტოს თაღლითი უწოდა.

მოსამართლე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გაცნობის სააგენტომ ბურკი შეცდომაში შეიყვანა და მოითხოვა, რომ მან ქალს 12,6 ათასი ფუნტი სტერლინგი დაუბრუნოს – თანხა, რომელიც ქალმა საქმროს ძებნაში დახარჯა. გარდა ამისა, ფირმას მოსარჩელის იმედგაცრუებისთვის კომპენსაციის სახით 500 ფუნტის გადახდაც მოუწევს.

ამავე დროს მოსამართლემ ბურკის მიერ ინტერნეტში გამოქვეყნებულ წერილს ცილისმწამებლური უწოდა და მას ფირმისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ხუთი ათასი ფუნტი სტერლინგის გადახდა დააკისრა. საბოლოოდ ქალი მხოლოდ 8,1 ათას ფუნტს მიიღებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ქუთაისის ტორპედო ევროპის ლიგის ფლეი ოფშია

კუკესი (ალბანეთი)-ტორპედო (საქართველო) 2:0

ელბასანი. ელბასან არენა

1:0, 2:0 რეჯინალდო (29პ, 75პ)

კუკეში: მალოკუ, შამეტი, კორდეირო, რუმბულაკუ, მალიკი, ალა, ძარია (შკოდრა 68), მუსოლი (პლაკუ 83), ეტემი (გირბია 52), ჰარბა, რეჯინალდო

ტორპედო: კვასხვაძე, ხურცილავა, კობახიძე, ქიმაძე (გეგეჭკორი 82), აზაცკი, მარინი, დოლიძე (კუტალია 62), კუხიანიძე, ჭლინკა (გიგაური 69), ცინცაძე, ლაჩნი

ქუთაისის ტორპედო ევროპა ლიგის ფლეი ოფში ითამაშებს. არადა, რიონისპირულ გუნდს აქამდე მე-3 ეტაპზე არასდროს უთამაშია და ახლა უკვე ჯგუფურ ეტაპთან ერთ ნაბიჯშია. არა, იმას კი არ ვამბობთ, რომ ბულგარული ლუდოგორეცის ბარიერს აუცილებლად გადალახავს, უბრალოდ ვამბობთ – ერთ ნაბიჯში. სწორი და გამართული მუშაობით შეუძლებელი არც ის ნაბიჯი უნდა იყოს.

ფლეი ოფი იოლად არ მოსულა. მიუხედავად სოლიდური ჰანდიკაპისა, ტორპედო ახლოს იყო საპასუხო მატჩი ისე წაეგო, რომ ევროპის ლიგას დამშვიდობებოდა. უფრო სწორად, ტორპედო კი არ იყო ახლოს, მიაახლოვეს.

ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს ალბათ ეხსომებათ 1981 წელი. თბილისის დინამომ მაშინ თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში ფეინოორდს შინ 3:0 მოუგო და მსაჯებმა როტერდამში ყველაფერი გააკეთეს, რომ ჰოლანდიელებს საპასუხო შეხვედრა მინიმუმ იმავე ანგარიშით მოეგოთ, მაგრამ ვერ მივართვით.

უკაცრავად, ალბანელებო და ვერც თქვენ მოგართვით. მართალია, გაცილებით სხვა დატვირთვის მატჩში, მაგრამ ქართული ფეხბურთისთვის დღეს ეს არის ბედნიერი წუთები. ყველაფერი გააკეთა შვეიცარიელმა მსაჯმა ალი ბიერმა ალბანეთში, რომ შემდეგ ეტაპზე კუკესი გასულიყო, მაგრამ...

2 მოგონილი პენალტი ჩვენს კარში და 2 გაუქმებული გოლი მეტოქისაში – ეს არის ბიერის „ნაქურდალი“, რის გამოც მატჩის ბოლო წუთებში ალბათ ყველამ ინერვიულა, ხოლო ფეხბურთელები რა დღეში იქნებოდნენ, ეს სხვა თემაა...

ვიცით, ქართველები ვართ და რამე გასამართლებელი უნდა ითქვასო, აბა, ისე როგორ იქნებაო... არა, გასამართლებლად არ დაგვიწერია ეს ყველაფერი, ნამდვილად ასე მოხდა. ცხადია, არც იმას დავმალავთ, რომ ტორპედომაც ცუდად ითამაშა. ფრთხილად და ცუდად...

მეტი სითამამე მართებდა ტორპედოს შეტევაში და გაცილებით მშვიდად მიიყვანდა საქმეს ბოლომდე.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

18 აგვისტოსთვის

ᲕᲔᲠᲫᲘ – ახლობლების მიმართ აგრესიას ნუ გამოავლენთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ᲙᲣᲠᲗ** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. ნებისმიერი საქმე დიდი ყურადღებით აკეთეთ. **ᲒᲣᲜᲐᲠᲘ** – ძალა დაზოგეთ. ერთდროულად ბევრი საქმის კეთება არ ღირს. ზედმეტი ემოციურობა ავტორიტეტს შეგიბღალავთ. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ** – რომანტიკული შეხვედრები, მოგზაურობა, მივლინებები თამამად დაგეგმეთ. დღეს გიმართლებთ. **ᲚᲝᲛᲘ** – აღელვებული და აფორიაქებული ხართ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ᲙᲐᲚᲬᲣᲚᲘ** – მატერიალური მდგომარეობა სახარბიელო არ არის. კომერციული გარიგებები დღეს არ დაგეგმოთ. **ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ** – საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებული იქნება. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **ᲦᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ** – გადაადგასეთ ფასეულობები. სულიერი სრულყოფისათვის, შესაძლოა, დიდი ძალისხმევა დაგჭირდეთ. **ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – ნებისმიერი მოგზაურობა გაგახარებთ. ბედი გწყალობთ. გიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობაც. **ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ** – ახლობელ ადამიანს კამათში ნუ აჰყვებით. გაუფრთხილდით ნერვებს. **ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ** – ექსპერიმენტებისა და ახალი ინფორმაციის მისაღებად იღბლიანი დღეა. კოლეგებთან მწვავე თემებს ნუ განიხილავთ. **ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ** – გარშემომყოფებისაგან აგრესიას გრძნობთ. დღის მეორე ნახევარში ვნებები ჩაცხრება.

19 აგვისტოსთვის

ᲕᲔᲠᲫᲘ – უმნიშვნელო პრობლემებზე დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ. სერიოზული პროვოკაციების დღეა. ემოციები მოთოკეთ. **ᲙᲣᲠᲗ** – საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა გაქვთ. ნუ გაყოყოჩდებით. თავმდაბლად იმუშავეთ. **ᲒᲣᲜᲐᲠᲘ** – დისციპლინა, ორგანიზებულობა და თავშეკავება დღის დევიზია. იყავით ტაქტიანი. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ** – დღის პირველი ნახევარი საკმაოდ იღბლიანია. შეინარჩუნეთ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. **ᲚᲝᲛᲘ** – კონფლიქტურ სიტუაციებს გაერიდეთ. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **ᲙᲐᲚᲬᲣᲚᲘ** – ყურადღებით იყავით ფინანსური ოპერაციების შესრულებისას. შემოსავალ-გასავალი გულმოდგინედ აკონტროლეთ. **ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ** – ხელმძღვანელობასთან სერიოზული საუბარი გელით. საღამოს ახლობლების მხარდაჭერას მიიღებთ. **ᲦᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ** – შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. სიბრძნე და პრინციპულობა დღის დევიზია. **ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულეთ. შრომა აუცილებლად დაგიფასდებათ. **ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ზედმეტ ხარჯებს ერიდეთ. მიზნისკენ სწრაფვაში ხელი არ გეშლებათ. **ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ** – ახლობლებზე იზრუნეთ. თქვენს პირად საქმეში ნურავის ჩარევთ. ფიზიკური დატვირთვა არასასურველია. **ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ** – მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. დაუყოვნებლივ მოაწესრიგეთ საქმიანი ქაღალდები.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იგორ ხარებავას!

თავდადებულ მამას, უსაყვარლეს ბაბუას, სამაგალითო სიმამრს **ᲕᲔᲚᲝᲡᲐᲕ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ.**

უფალი გწყალობდეს!

თემურ ჭელიძე

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲠᲘᲓᲘ Ბ



შვეულად: 1. ძველებური ქართული საბრძოლო, ბასრწვერიანი, სატყორცნი იარაღი; 2. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 3. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 4. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 5. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 8. ბიბლიის ნაწილი; 11. სიგრძის საზომი ერთეული იაპონიაში; 13. ინდური ეპიკური პოემა; 14. სატანვარჯიშო იარაღი; 18. წვრილმანები ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 20. ღვინის პატარა ქვევრი.

თარაზულად: 6. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში; 7. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 9. ცხოველთა სამყარო; 10. მსახიობის პატივსაცემად გამართული წარმოდგენა; 11. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 15. იტალიელი პოლიციელი; 17. პატარა ფლეიტა; 19. კურორტი, ნავსადგური აზერბაიჯანში; 21. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 22. იაპონური რესტორანი; 23. მსხვილი საჯარისო შენაერთი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. დიორი; 2. ფიორდი; 4. გამბიტი; 5. ვალიზა; 6. სერვანტი; 7. რეაგენტი; 10. სკოტი; 12. დიალოგი; 13. ძელშავი; 16. ბიზონი; 17. ბაღდადი; 18. თაგორი; 19. რატუშა; 21. ილორი.

თარაზულად: 3. კიმიგაიო; 8. კეტერი; 9. მორჩილაძე; 11. უზანგი; 12. დუკატი; 14. ტრაქტი; 15. პრეფექტი; 20. გეიტსი; 22. კალანდა; 23. ლარი; 24. ჰონკონგი; 25. დუდა; 26. ნადუღი; 27. მახრა.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ტანკერი; 2. კაპუცინი; 3. ცერული; 4. ფორდი; 5. მინისტრი; 8. ფოლკლორი; 12. დუყი; 13. ციცერონი; 14. ბინოში; 16. ჭიკარტი; 18. ლობიო; 20. ლოქო.

თარაზულად: 6. მალვაზია; 7. ევერტონი; 8. ფორუმი; 9. ბერიო; 10. მიცუბიში; 11. გარდნერი; 15. ჰიპერტონია; 17. ფინიკი; 19. შოტლანდია; 21. კოლუმბი; 22. ციტოლოგია; 23. კოკაინი.

მსახიობი ზუზუ ბეჟაშვილი გარდაცვლილი იპოვეს



მსახიობი ზუზუ ბეჟაშვილი დოლიძის ქუჩაზე გარდაცვლილი იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, მსახიობი ლიფტში ნახეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება უკვე დაიწყო.

მანანა აბრამიშვილი, რუსთაველის თეატრის მსახიობი:

– ღმერთო, რა საშინელება მოხდა... ზუზუ, როგორ დამენანე და როგორ ვერ ვიჯერებ... რატომ, ღმერთო, რატომ? ვერ ვჩერდები, მოვკვდი უკვე ტირილით. გასკდა ეს გული.

პეტრე კოლხი:

– ზუზუ ცოცხალი რომ იყოს, ამას არასდროს გავაკეთებდი... ახლა რა აზრი აქვს?! კი, ძალიან დიდი აზრი აქვს, რადგან ჩვენ გარშემო უამრავი ზუზუა... მომავალში მაინც რომ არ დავუშვათ იგივე შეცდომა, ამისთვის ვაკეთებთ...

თუ ადამიანს ძალიან უჭირს, თხოვნის და ვედრების გარეშეც შეიძლება ხელი გავუწოდოთ... აუცილებელია, მიწაზე იფორთხოს და ისე შეგვეხვეწოს პური მაჭამეო?!

სვეტსკებო, სინამდვილეში ყველაზე გოიმებო, ვინც ყველაზე მეტს ხუმრობს და სიცილით კვდება, მას ყველაზე მეტად უჭირს... ეკრანზე და წვეულებებზე გამოჩენა არ ნიშნავს აწყობილ ფსიქიკას და ცხოვრებას... თვითმკვლელობა სოციუმიდან მოდის... მასში ყველა ჩვენგანი ვიღებთ მონაწილეობას... ახლა ღვარეთ ნიანგის ცრემლები...

არ იცოდით, რომ ზუზუს ღიმილის უკან პიროვნული ტრაგიზმიც იმალებოდა?! მას ადამიანური ნუგეში სჭირდებოდა ყველაზე მეტად... გულგრილობამ მიიყვანა აქამდე...

მაშინ ვუშველე, მაგრამ საბოლოოდ ვეღარ... შველა ვეღარ შევძელი(თ).

ნინი ონიანი: „ცილისწამებით და ტყუილებით გაბერილი სარჩელი მომივიდა“

მსახიობ ნინი ონიანს შვილთან – ლუკასთან დაკავშირებით პრობლემები აქვს. როგორც ნინი ამბობს, მან ცილისწამებით და ტყუილებით გაბერილი სარჩელი მიიღო.

– ეს ჩემი შვილია, ლუკა. ხშირად არ ვდებ მის ფოტოებს, რატომღაც არ მიყვარს მცირეწლოვანი შვილების ფოტოებით აჭრელებული მშობლების სოციალური ქსელი. ცოტა ხნის წინ ლუკასთვის წესით ძალიან ახლობელმა ადამიანმა გადაწყვიტა, კანონით მოემართა ჩემთვის, ცილისწამებით და ტყუილებით გაბერილი სარჩელი მომივიდა სახლში, რის შემდეგაც თვითონ საერთოდ აორთქლდა...

ვერავინ, ვერასოდეს ვერ შეეხება შვილის და დედის ურთიერთობას! მხოლოდ ცხოვრებაზე გამწარებულ, დაბოღმილ, გაბოროტებულ ადამიანებს შეუძლიათ დედას დააბრალონ შვილის არ სიყვარული! რომ დამჭირდეს, სიცოცხლის ბოლო წამამდე ვიბრძოლებ ჩემი ერთადერთი შვილისათვის და ვერავინ ვერ დამიდგება წინ! არავისი და არაფრის არ მეშინია!

რატომ ვწერ ამას სოციალურ ქსელში? იმიტომ, რომ ბევრი ადამიანი ბევრ რამეს სხვაგვარად ყვება, მე და ჩემმა გარშემომყოფებმა კი ყველაფერი ჩვენი თვალით ვნახეთ, მოვისმინეთ, შევესწარით და ა.შ.

ვიმეორებ, თავს შევაკლავ ყველას და ყველაფერს ჩემი შვილის გამო და თქვენ კიდევ ჩემს ფეისბუქზე ჩასაფრებულნო „კეთილის მსურველნო“, ცხოვრება ბუმერანგია, ყველას გაყავთ შვილები და ფრთხილად იყავით!

რაც შეეხება კიდევ სარჩელის ავტორს... გადმოგცემენ აუცილებლად ამ სტატუსს ისევ ის „კეთილის მსურველნი“... სირცხვილი შენ... თბილისში ვცხოვრობთ და ალბათ ქუჩაში გამოდიხარ... აბა, შენ იცი, როგორც კი გეტყვიან რაც დავწერე, მაშინვე მომწერე, დამირეკე... ისე არ გამოჩნდე ლუკას მოსაკითხად და მერე მე დამწამე ცილი, რომ ცუდი მშობელი ვარ! უსირცხვილო ადამიანებო! მეტს აღარაფერს ვიტყვი, დანარჩენისთვის კანონი არსებობს! – დაწერა ნინი ონიანმა ფეისბუქში.

ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ მსოფლიო ვარსკვლავებს გააერთიანებს

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ წელს 26-ედ ჩატარდება და მასში მონაწილეობას მსოფლიო ვარსკვლავები მიიღებენ.

ფესტივალი 7 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება და მას ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი უმასპინძლებს.

ფესტივალის ფარგლებში, თბილისში 10 კონცერტი გაიმართება. ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სცენაზე წარდგებიან გერმანიიდან, იტალიიდან, იაპონიიდან, ლიტვიდან, პოლონეთიდან და ესპანეთიდან მსოფლიოში აღიარებული მუსიკოსები.

ფესტივალის დამაარსებელი მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი დირიჟორი ჯანსუღ კახიძეა. მისი ჩანაფიქრი იყო, საერთაშორისო დონის ყოველწლიური მუსიკალური ფესტივალი გაემართა, რომელიც საქართველოში არსებულ საკონცერტო ცხოვრების მდიდარ ტრადიციებს აღორძინებდა. თავისი არსებობის განმავლობაში, „შემოდგომის თბილისი“ ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და პოპულარულ მუსიკალურ მოვლენად იქცა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

კოლუმბიელებს სთხოვენ, სიცხის გამო სექსისგან თავი შეიკავონ

კოლუმბიის ქალაქ სანტა-მარტას ხელისუფლებამ მოსახლეობას მოუწოდა, სიცხის გამო სექსზე უარი თქვან. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საერთაშორისო სააგენტო ავრცელებს.

ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ხულიო სალასმა ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები გააკეთა. მან ასევე ადგილობრივებს და საკურორტო ქალაქის ტურისტებს, რომელიც კარიბის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, ურჩია, რაც შეიძლება მეტი სითხე მიიღონ და თავისუფალი ტანსაცმელი ჩაიცვან. სალასის თქმით, 40 გრადუსიანი სიცხეების გამო ქალაქის საავადმყოფოები მზის დარტყმისგან დაშავებულებითაა გადავსებული.

ადგილობრივები ქალაქის ხელმძღვანელობის რეკომენდაციებს სკეპტიკურად შეხვდნენ და მასხრად აიგდეს.

ჩინელმა გოგონასთან კამათის შემდეგ 87 ცალი ლურსმანი გადაყლაპა

ჩინეთის პროვინცია ხუნანში მამაკაცმა 87 ცალი ლურსმანი და 7 საკანცელარიო ჭიკარტი გადაყლაპა.

25 წლის მამაკაცი საავადმყოფოში მუცლის არეში ტკივილის გამო შეიყვანეს. რენტგენმა აჩვენა, რომ მისი მკერდის მიდამოში ათეულობით 4-5 სანტიმეტრი სიგრძის ლურსმნები იყო. კიდევ რამდენიმე ლურსმანი წელის მიდამოში იყო გაჩერებული.

მამაკაცს მეორე დღეს ოპერაცია გაუკეთეს. ქირურგები ოთხი საათი მუშაობდნენ და ამ დროის მანძილზე 87 ლურსმანი ამოიღეს. ჭიკარტებმა, მათი მცირე ზომის გამო, დამოუკიდებლად მოახერხეს ნაწლავებში გავლა და ექიმების აზრით ორგანიზმს ბუნებრივი გზით დატოვებენ.

თავდაპირველად მამაკაცი ამტკიცებდა, რომ შემთხვევით შეჭამა ძროხის ხორცის ღვეზელი. შემდეგ კი გაირკვა, რომ მან ლურსმნების გადაყლაპვა მეგობარ გოგონასთან კამათის შემდეგ დაიწყო, რომელიც დაემუქრა, რომ მიატოვებდა.

მამა შვილის გადასარჩენად აივნიდან გადახტა

ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში მამაკაცი აივნიდან გადახტა, რათა საკუთარი შვილი გადაერჩინა.

ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, წყალქვეშ ყვინთვის ოსტატი ბრედ ლიუისი მეგობარს თავის რვაწლის შვილ ოსკართან ერთად სტუმრობდა. ბავშვი ნერფ-ბლასტერით – სათამაშო იარაღით თამაშობდა, რომელიც რბილ ბურთულებს ან საფანტს ისვრის. რამდენიმე ბურთულა აივნის ღია კარიდან ქუჩაში გადავარდა. ბავშვი აივანზე გავარდა, მოაჯირზე გადაიხარა, რათა დაკარგული ბურთულები დაენახა და ამ დროს წონასწორობა დაკარგა.

ლიუისმა შენიშნა, რომ ბავშვი ვარდებოდა, აივანზე გავარდა და მოასწრო მისთვის ხელი ეტაცა, რის შემდეგაც ორივე ოთხი მეტრის სიმაღლიდან გადავარდა და ბეტონზე დაეცნენ. დაცემის დროს მამაკაცმა ბავშვი ჩაიკრა, რათა დაცემის ძალა შეერბილებინა.

ბავშვმა ტვინის შერყევა და თავის ქალის ძვლების მოტეხილობა მიიღო. ის საავადმყოფოდან უკვე გაწერეს და გამოჯანმრთელებას სახლში აგრძელებს. ლიუისმა თავისქალა-ტვინის ღია ტრავმა, ასევე თავის ტვინის შერყევა და კისრის დაზიანება მიიღო. ექიმები ვარაუდობენ, რომ მის მკურნალობას ნახევარი წლიდან ერთ წლამდე დრო დასჭირდება.

ინდოეთში ცოცხალ ვირთხას ზურგზე სოიო ამოეზარდა

ინდოეთში ფერმერმა აღმოაჩინა ვირთხა, რომელსაც ზურგზე სოიო ჰქონდა ამოსული. აღნიშნული ინფორმაცია ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გაავრცელა.

დატარ სინგხმა უცნაური ცხოველი მაშინ შენიშნა, როდესაც დილიდან საკუთარ ნაკვეთში სოიოს ყანას ათვალიერებდა, რომელიც მადხია-პრადეშის შტატის ქალაქ რატლამის მახლობლად მდებარეობს. ის ნანახმა ძალიან გააკვირვა და მეზობლებს უხმო. მათ კი ვირთხა ვიდეოზე გადაიღეს. გაოცებული ინდოელები გაცხოველებით მსჯელობდნენ ნანახზე. ისინი ცხოველს კუდს უწევდნენ და ეხებოდნენ სოიოს ამონაზარდს, რათა გაეგოთ, თუ რა დაემართა ვირთხას. თავად ცხოველი ტკივილებისგან იტანჯებოდა, მოძრაობას ვერ ახერხებდა და გამუდმებით გვერდზე ვარდებოდა.

სინგხმა ცხოველი სახლში წაიყვანა და მცენარე დიდი სიფრთხილით მოაშორა ვირთხას ზურგის ჭრილობიდან. მისი ვარაუდით, ცხოველს შესაძლოა გართობის მიზნით ასე მოზარდებმა გაუკეთეს.

უმუშევარმა მამამ შვილის მკურნალობისთვის მილიონობით ყალბი ფული დაბეჭდა

ჩინეთის პროვინცია ანხოის მცხოვრებმა მამის დახმარებით ყალბი ფულების წარმოება ააწყო, რათა შვილის მკურნალობის საფასური გადაეხადა.

უმუშევარი მამაკაცი მსხვილმა შენაძენებმა გასცა. პოლიციელებმა, რომლებიც მამაკაცთან სახლში მისი შემოსავლის წყაროს დასადგენად მივიდნენ, სამი მომუშავე პრინტერი და 2,5 მილიონი ყალბი იუანი აღმოაჩინეს.

26 წლის მამაკაცმა განმარტა, რომ ყალბი ფულის მჭრელი იმის გამო გახდა, რომ შვილის სამკურნალოდ ფული სჭირდებოდა. მან ინტერნეტში ტექნოლოგიის აღწერას მიაგნო, ექსპერიმენტებისთვის საჭირო მოწყობილობა შეიძინა და მთელი ყურადღება გაყალბების ხარისხის გაუმჯობესებას დაუთმო, მამამისმა კი საკუთარ თავზე ფულის დაბეჭდვა და გასაღება აიღო.

დამზადებულ ყალბ ფულს კი არ ხარჯავდნენ, არამედ ნომინალურ ღირებულებაზე დაბალ ფასად ყიდიდნენ. 100 იუანის ღირებულების ბანკნოტში 8 იუანს იღებდნენ. სახლის ჩხრეკის შედეგად სამართალდამცავებმა ასეთი გზით მიღებული 240 ათასი იუანი აღმოაჩინეს.

ორივე ყალბი ფულის მჭრელი დააპატიმრეს, ხოლო ყალბი ფული ამოიღეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5773

ევრო — 2.9299

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2729

100 რუსული რუბლი — 3.8499

ამინდის პროგნოზი 18 აგვისტოსთვის

პატარა გოგონამ ფარულად ასობით დოლარის სათამაშოები იყიდა

ამერიკის იუტას შტატის მცხოვრებმა გოგონამ ინტერნეტში ასეულობით დოლარის სათამაშოები დაუკითხავად შეიძინა.

დედამ ექვსი წლის კეიტლინს უფლება მისცა ინტერნეტ-მაღაზია ამაზონში დაბადების დღისთვის საჩუქრად თოჯინა ბარბი შეეძინა. სანამ გოგონა შეკვეთის მიღებას ელოდა, ის კომპიუტერთან მარტო დატოვეს. მან კი ამ მომენტით ისარგებლა და შეკვეთას კიდევ რამდენიმე სათამაშო დაამატა.

ბავშვის დედამ ამის შესახებ მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო, როდესაც სახლთან ამაზონის სატვირთო მანქანა მივიდა და მძღოლმა უამრავი შენაძენის გადმოტვირთვა დაიწყო. როგორც გაირკვა, კეიტლინმა 350 დოლარის სათამაშოები, კომპიუტერული და მაგიდის სათამაშოები შეუკვეთა. შენაძენის სია სამ გვერდს შეადგენდა.

ამის შემდეგ ბავშვი დასაჯეს, მას ერთი თვით აუკრძალეს ინტერნეტით სარგებლობა, ხოლო ფარულად შეძენილი ყველა სათამაშო მაღაზიას დაუბრუნეს. დარჩა მხოლოდ ბარბი, რომელიც გოგონამ დედის თანხმობით შეუკვეთა.

იშვიათი ავადმყოფობის გამო 25 წლის პოლონელი ბავშვს დაემსგავსა

უიშვიათესი თანდაყოლილი დაავადების გამო პოლონეთის ქალაქ ოლესნიცის მცხოვრები, 25 წლის მამაკაცი 12 წლის ბიჭივით გამოიყურება.

ტომაშ ნადოლსკის დაავადება ფაბრი აქვს. მუდმივი ტკივილების გამო ის იძულებულია მორფინის წებოვანი საფენი და სხვა ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები გამოიყენოს. მას ჭამა არ შეუძლია და დღე-ღამეში 20 საათის განმავლობაში წვეთოვანზე უნდა იყოს შეერთებული, ხოლო მის დეფორმირებულ ტერფებს სპეციალური ორთოპედიული ფეხსაცმელი სჭირდება.

ავადმყოფობა მას შვიდი წლის ასაკში გამოუვლინდა. ბავშვი მუცლის, ხელების და ფეხების არეში ტკივილებს უჩიოდა, ხოლო სადილის შემდეგ გული ერეოდა. თავდაპირველად ექიმები ფიქრობდნენ, რომ მას ფსიქოლოგიური აშლილობა ჰქონდა. სწორი დიაგნოზი მას მხოლოდ ახლახან დაუსვეს.

ბავშვის გარეგნობა ნადოლსკის მრავალ პრობლემას უქმნის. ნათესავებთან ურთიერთობა გაუფუჭდა, ვინაიდან ისინი მას უყურებდნენ, როგორც ბავშვს. არც გარეშე პირებს სჯერათ, რომ ის 25 წლისაა. ის არც თუ იშვიათად დაუდანაშაულებიათ ყალბი საბუთებით სარგებლობაში.

ათასობით ანტილოპა გნუ ნიანგებით სავსე მდინარეში გადაეშვა

ფოტოგრაფმა ინგო გერლაჩმა კენიაში ანტილოპა გნუს დიდი ჯოგის მდინარე მარაზე გადასვლა გადაიღო.

ყოველ წელს მილიონზე მეტი გნუ მიგრირებს ტანზანიის სერენგეტის სავანიდან კენიაში მდებარე მასაი-მარას საძოვრებზე. ორი თვის განმავლობაში ისინი თითქმის სამი ათას კილომეტრს გადიან.

64 წლის ფოტოგრაფმა ჯოგი იმ დროს გადაიღო, როდესაც მან მდინარის სანაპიროს მიაღწია, რომელიც ნიანგებით იყო სავსე. მის თვალწინ ათასობით ანტილოპა მდინარეში გადაეშვა. მათ ზებრების მცირე გუნდიც შეუერთდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ციხის უფროსი სიკვდილმისჯილს, რომელიც ელექტროსკამზე ზის, ეკითხება:

– რა არის თქვენი უკანასკნელი სურვილი?

– თუ შეიძლება, ხელი მომკიდეთ, ასე უფრო მშვიდად ვიქნები.

●●●

კაცი და კატა სხედან. კაცი ამბობს:

– ეეჰ, ჩემმა ცოლმა სამი ტყუპი გააჩინა.

– ნუ ნერვიულობ, – პასუხობს კატა, – დაარიგებ.

●●●

სიძე სიდედრს ურეკავს და ეუბნება:

– ამ დღეებში გარეთ არ გამოხვიდე.

– რატომ?

– სიცხეების გამო გველები ძალიან მომრავლდნენ და მათზე ნადირობაა გამოცხადებული. შემთხვევით არ შეეშალოთ და შენც არ მოგკლან.

●●●

გიგი მასწავლებელს ეკითხება:

– ლამარა მასწავლებელო, დღეს ლიფის გარეშე რატომ ხართ?

– კი მაგრამ, როგორ მიხვდი, ჯერ ხომ პალტოც კი არ გამიხდია?

– სახეზე ნაოჭები აღარ გეტყობათ!

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამი, რატომ გაქვს ცალი თვალი ჩალურჯებული?

– შენ ორივე გექნება ჩალურჯებული, თუ შენ მეგობარ გოგონას ჩემ მანქანაში ტრუსიკი ისევ დარჩება!!!

●●●

კაცი შეყვარებულს ეკითხება:

– ძვირფასო, ჩემამდე ვინმესთან ხომ არ დადიოდი?

– რა თქმა უნდა, არა, ძვირფასო. ყველა მანქანიანი იყო...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– აბა თუ მეტყვი, რომელი ცხოველი იზრდება ყველაზე სწრაფად?

– თევზი, რომელმაც მეთევზის ანკესს თავი დააღწია.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, სადილად რა მოგიმზადო? გვაქვს მაწონი, უცხიმო ხაჭო, რძე.

– მოიტა მაწონი, ხაჭო, რძე და რამე ჩასაცეცხლი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

რეალმა ინტერს შეიძლება უჩივლოს

რეალს და ინტერს შორის ურთიერთობა დაიძაბა და ამის მიზეზი ლუკა მოდრიჩია, რომელსაც ინტერში სურს გადასვლა, რეალი კი მის გაყიდვაზე უარს ამბობს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რეალმა შესაძლოა ინტერს უეფაშიც უჩივლოს იმის გამო, რომ მილანელები მოდრიჩთან ფარულად აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ გაგრძელდება ეს ისტორია, თუმცა ფაქტია, რომ მოდრიჩს რეალში თამაში აღარ უნდა და მას ინტერში გადასვლა სურს.

რეალი მოდრიჩს 700 მილიონ ევროდ აფასებს.

კურტუა და ნავასი მატჩებს გაინაწილებენ

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ხულიან ლოპეტეგიმ განაცხადა, რომ კეილორ ნავასი ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის თამაშებს, ესპანეთის ჩემპიონატში კი რეალის კარს ტიბო კურტუა დაიცავს.

ეს ინფორმაცია ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან კურტუას ყიდვა რეალს დიდი ხანია სურდა და ის უპირობო პირველი ნომერი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ლოპეტეგი კეილორ ნავასსაც ენდობა, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა ატლეტიკოსთან მატჩში 4 გოლი გაუშვა.

რაგნარ კლავანი კარიერას სერია ა-ში გააგრძელებს

ლივერპულის ესტონელი მცველი რაგნარ კლავანი მალე იტალიური კალიარის ფეხბურთელი გახდება.

კლავანმა ლივერპულთან კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების შემდეგ გაწყვიტა. ვირჯილ ვან დეიკის მისვლის შემდეგ კლავანმა მყარად გადაინაცვლა სათადარიგოთა სკამზე და მისი წასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეს არის. კლავანმა ლივერპულში ორი სეზონი გაატარა და 39 მატჩი ითამაშა. კალიარის ესტონელი მცველი, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში შეუერთდება.

ჟოზე მოურინიო: „პოგბათი ძალიან კმაყოფილი ვარ“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ პოლ პოგბაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი თამაშით ძალიან კმაყოფილია.

მოურინიოს აზრით, პოგბა წელს უკეთეს ფორმაშია, ვიდრე წინა სეზონებში იყო.

– პოგბა ვარჯიშებზე ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და მისი გარჯით ისეთი კმაყოფილი ვარ, როგორც არასდროს და მალე ეს მოედანზეც გამოჩნდება, – განაცხადა მოურინიომ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ნუშისებრი ჯირკვლების მწვავე ანთება; 4. ჩაის ფოთლებისა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 5. პოლონელი პიანისტი, კომპოზიტორი; 6. პლანეტის თანამგზავრი; 7. ოკეანეში მცურავი ყინულის მთა; 10. მცენარეთა სამყარო; 12. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 13. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 16. ზამბარიანი მოწყობილობა აკრობატული ხტომებისთვის; 17. შებოლილი ძეხვი; 18. ბოშათა წინამძღოლი; 19. ტბა სამხრეთ საქართველოში; 21. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი.

თარაზულად: 3. კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრი; 8. მდინარე რიონის ძველბერძნული სახელწოდება; 9. ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი; 11. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 12. ოპერა „ნორმა“-ს კომპოზიტორი; 14. მდინარე საქართველოში; 15. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 20. დიდი შეჯიბრება ნიჩბიანი, იალქნიანი და მოტორიანი ნავებით; 22. მხარე გერმანიაში; 24. სპორტის სათამაშო სახეობა; 23. ნიკოლოზ ბარათაშვილის მეტსახელი; 25. აზერბაიჯანის დედაქალაქი; 26. თურქული აბანო; 27. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა